# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 20 მარტი 2007 №61 (2984) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტოპმიოლერი ნაკრებს საწვიმრით დახვდება

კლაუს ტოპმიოლერი და მისი თანაშემწე რალფ მინგე გუშინ გლაზგოში ჩავიდნენ. დღეს კი იქ ჩვენი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებიც ჩავლენ, სასტუმრო „მენზისში" დაბინავდებიან და პირველ ვარჯიშს გამართავენ. გლაზგოში კი ბოლო დღეებში ისეთი ავდარია, უსაწვიმროდ გარეთ არ გაისვლება, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ნაკრები დღეს „რეინჯერსის" ბაზაზე ალბათ ვერ ივარჯიშებს. დღესვე გლაზგოში ჩავა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლობაც.

ტოპმიოლერმა კი გადაწყვიტა, რომ ტრავმიანი კახა კალაძის და ოთარ ხიზანეიშვილის ნაცვლად ამ შეკრებაზე არავის უხმოს.

შოტლანდიასთან ევროშესარჩევ მატჩამდე ოთხი დღეღა დარჩა.



## ქართველოლოგი ქართველების წინააღმდეგ
### რუსულ-ფრანგული ფინტი და ფლირტი

აი, ამბავი: დიდი შანსია, 24 მარტს ერთა თასის მატჩში რუსეთის ნაკრებს თბილისში ფრანგი კლოდ სორელი ჩამოუძღვეს. საქართველოს ნაკრების მწვრთნელყოფილი ერთი კვირის წინ ჩავიდა მოსკოვში და იქაურ რაგბის ფედერაციასთან მოლაპარაკება წამოიწყო.

შეგახსენებთ: შარშანდელი წარუმატებელი სეზონის შემდეგ რუსეთის ნაკრების მწვრთნელობიდან დაითხოვეს სამხრეთაფრიკელი ბრიკის ხრუნევოლდი და გუნდი დროებით ნიკოლაი ნერუშს და ვლადიმირ მირონოვს ჩააბარეს. საამბმოდ გუშინ მოსკოვში რუსეთის რაგბის ფედერაციის პრესცენტრის უფროსს ბორის სივაევს დავუკავშირდით.

— მართალია, რომ საქართველოსთან მატჩში რუსეთის ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი იქნება?

— ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. კლოდ სორელმა დაამტკიცა, რომ მაღალი დონის სპეციალისტია, თანაც ერთა თასის მონაწილეებს, მით უმეტეს, საქართველოს ნაკრებს, ხუთი თითივით იცნობს. ერთი სიტყვით, კლოდ სორელის კანდიდატურა ჩვენთვის ძალიან სასურველია.

— სორელის ამბავი საბოლოოდ როდის გაირკვევა?

— ყველაფერი ამ დღეებში გადაწყდება.

— ფრანგი ახლა მოსკოვშია?

— იგი ერთი კვირის წინ ჩამოვიდა რუსეთში, მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

— ერთსაც გკითხავთ: სათბილისო შემადგენლობა როდის დასახელდება?

— ესეც ერთ-ორ დღეში გადაწყდება. მწვრთნელები ჯერ კიდევ ფიქრობენ...

— მათ შორის სორელიც?

— გუნდთან ახლა ნერუში და მირონოვი მუშაობენ... ბოდიში, მეტს ვერაფერს გეტყვით...

ამის შემდეგ კლოდ სორელთან ჩვენთვის ცნობილ ნომერზე ვცადეთ დაკავშირება, მაგრამ ამაოდ. როგორც ჩანს, ნომერი შეიცვალა.

შეგახსენებთ, რომ სორელი ჩვენი „ლელოების" მთავარ მწვრთნელად 2001 წელს დაინიშნა. მომდევნო სეზონში ქართველებს პირველი და ჯერჯერობით ბოლო ევროპის ერთა თასი მოაგებინა და 2003 წელს მსოფლიოს თასზე ათამაშა.

ბაჩო სვანიძე



## ზურაბ ხიზანიშვილი: ჩვენ თუ გავგიჟდით, მაკლიშიც გაგიჟდება
### საქართველომ გლაზგოში 15 წუთს უნდა გაუძლოს

## სასახლე სასახლეს დაემსგავსება
### იჯარონსნული ლაშქრობა დაიწყო

სპორტის სასახლის თაობაზე ბოლო დროს ატეხილ მითქმა-მოთქმას წერტილი დაესვა. ქვეყნის უპირველესი ჭერქვეშა სარბიელი 30-წლიანი იჯარით გადაეცა ბიზნესჯგუფს, რომელშიც ფიგურირებენ ბიზნესმენი თემურ უგულავა და იმერეთის ყოფილი გუბერნატორი გია გეწაძე. გუშინ სპორტის სასახლეში სარემონტო სამუშაოები დაიწყო — დარბაზში აიყარა მოძველებული იატაკი, რომელსაც იტალიიდან ჩამოტანილი საფარით შეცვლიან. დაიწყო საშხაპეების, საპირფარეშოების და სახურავის განახლებაც.

სპორტის სასახლის ახალი დირექტორი 32 წლის არქიტექტორი ლაშა ხუციშვილია. ძველი დირექტორი ვალერი ლომაძე ახალი უფროსის მოადგილე იქნება.




1 აპრილიდან კომპანია „ქართული ჩოგბურთი" აცხადებს ბავშვთა მიღებას 6 წლის ასაკიდან. იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში თქვენ სპორტის ამ სახეობის ანბანთან გაცნობაში პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაგეხმარებიან. ადგილები შეზღუდულია. ჯგუფების დაკომპლექტება 31 მარტამდე.
მისამართი: ლუბლიანას 18
ტელ: 54 00 77; 54 00 39


## სევილიამ უეფა საგონებელში ჩააგდო: სამარხვო ფეხბურთი არ არსებობს, ან ჰო, ან არა!

სევილიის საკათედრო ტაძარი



ძალიან უცნაური და უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო ქალაქ სევილიის ხელმძღვანელობამ — უეფას ოფიციალურად მიმართა ინგლისურ „ტოტენჰემთან" 5 აპრილს გასამართი საუეფასთასო მატჩის გადატანის თაობაზე.

უცნაური და უჩვეულო კი ის მიზეზია, რის გამოც სევილიელები თამაშის გადატანას ითხოვენ — აღდგომამდე ბოლო ერთი კვირა მკაცრი მარხვაა და სევილიაშიც საგანგებო ლიტურგიები იმართება.

„მძიმე მარხვის კვირაში ყველა დღე მძიმეა და კარგი იქნება, თუ ეს მატჩი ამ პერიოდში საერთოდ არ გაიმართება" — განაცხადა სევილიის მთავრობის წარმომადგენელმა როდრიგეს გომეს დე სელიზმა.

საინტერესოა, რას იტყვის უეფა?



ხიზანიშვილი მაკლიშს რეინჯერსელობით იცნობს

დრო იყო, ბრიტანეთში ერთბაშად რამდენიმე ქართველი თამაშობდა, დღესდღეობით კი ალბიონზე ერთადერთი ჩვენიანი დარჩა — ინგლისური „ბლექბერნის" მცველი ზურაბ ხიზანიშვილი, რომელიც იქამდე შოტლანდიაში, სწორედ იმ „რეინჯერსში" იყო, ამჟამად შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი ალექს მაკლიში რომ ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, თუ გახსოვთ, ხიზანიშვილ — „რიენჯერსის" გაყრის ერთი მიზეზი მწვრთნელ-ფეხბურთელს შორის არც თუ სასიამოვნო ურთიერთობა გახლდათ. ახლა კი ზურაბ ხიზანიშვილი ყოფილ მწვრთნელს მეტოქედ ესტუმრება. 24 მარტს გლაზგოში შოტლანდია — საქართველოს შესარჩევი მატჩია...

რა კაცია ეს ალექს მაკლიში და როგორია მისი სამწვრთნელო შეხედულება, რით გამოირჩევიან მისი გუნდები და რით შეიძლება საქართველომ მაკლიშის შოტლანდიასთან ისარგებლოს — ამ და სხვა კითხვებით ზურაბ ხიზანიშვილს ინგლისში გუშინ დავუკავშირდით, დღეს კი ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი უკვე გლაზგოში იქნება და თანაგუნდელებთან ერთად საშოტლანდიო მზადებას დაიწყებს

# ჩვენ თუ გავგიჟდით, მაკლიშიც გაგიჟდება

## საქართველომ გლაზგოში 15 წუთს უნდა გაუძლოს

— რთული და დაძაბული თამაში რომ იქნება, ეს მგონი სალაპარაკოც არ უნდა იყოს. ბოლო დღეებია შოტლანდია — საქართველოს მომავალ შეხვედრაზე ბრიტანულ მას-მედიაში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელისთვის ხომ ჩვენთან მატჩი სადებიუტო იქნება. დიდი მოლოდინია, საქართველოს ნაკრებზეც საკმაო ინფორმაცია აქვთ, ჩვენი გუნდის მიმართ პატივისცემა იგრძნობა, ჩანს, რომ გვაფასებენ. დანარჩენი უკვე ჩვენზეა.

— „რეინჯერსში" თამაშობდი და გლაზგოში ახლაც გეყოლება მეგობრები. მომავალ მატჩზე მათთან არ გისაუბრია?

— ორი დღის წინ ბარი ფერგიუსონს ველაპარაკე, გუშინ კი პოლ დიკოვს, რომელიც ნაკრებში ახლა არ არის გამოძახებული. ცხადია, ესენიც ურთულეს შეხვედრას ელიან, მაგრამ თავად არ იციან, მაკლიში საქართველოსთან როგორ ათამაშებს ნაკრებს და როგორ შემადგენლობას აირჩევს.

— მაკლიში თავის დროზე შენი და შოთა არველაძის მწვრთნელიც იყო. მოდი ამ კაცზე ვილაპარაკოთ...

— ძალიან ამბიციური მწვრთნელია, შეტევასა და მოგებასაა მიჩვეული. მისი ნაკრებიც ალბათ შემტევ ფეხბურთს ითამაშებს, მით უმეტეს, რომ შოტლანდია ახლა შინ იქნება და უეჭველ მოგებაზე ფიქრობს. ამას წინათ მაკლიშის ინტერვიუ წავიკითხე. ის პირდაპირ ამბობს, რომ საქართველოს ხსენებაზე სამი ქულა ახსენდება და ამ მატჩისგან სხვას არც არაფერს ელის. მაკლიშს ფეხბურთელების ფსიქოლოგიურად შემზადება კარგად შეუძლია, მას არასდროს აქვს მეტოქის შეუფასებლობის მომენტი, პირიქით, უსუსტეს გუნდთან თამაშის წინაც ფეხბურთელებს ჩასჩიჩინებს, რომ მოდუნება შეიძლება ძვირად დაუჯდეთ.

— რამ შეიძლება მაკლიში მდგომარეობიდან გამოიყვანოს?

— მეტოქის გოლმა! მაკლიში ვერ იტანს ანგარიში თუ მეტოქემ წაიყვანა. აი, ჩვენ თუ შევძელით და შოტლანდიასთან დავწინაურდით, მაშინ ნახავთ გაგიჟებულ და წყობიდან გამოსულ მაკლიშს. მისი ხელმძღვანელობით მითამაშია და ვიცი, როცა მისი გუნდი აგებს, ის რა მდგომარეობაშიც ვარდება. მაკლიში წაგებას ვერ იტანს და ასეთი ვითარებისას არ იცის, რა აკეთოს. გადაწყვეტილების მიღება უჭირს და ძალიან ხშირად ცდება.

— შენ როგორი თამაში წარმოგიდგენია?

— გახსნილი თამაში ალბათ არ იქნება, მაგრამ თუ შევძელით და დავწინაურდით, მერე უკვე ყველაფერი თავდაყირა დადგება. ვფიქრობ, პირველ გოლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება და ეს თუ ჩვენ მოვახერხეთ, მერე წარმატების ძალიან დიდი შანსი მოგვეცემა.

— საქართველოს უპირატესობა ამ მატჩში რა შეიძლება იყოს?

— ძნელი სათქმელია. ვერ იტყვი, რომ რაკი შოტლანდიელები ზოგადად ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, ეს მათი უპირატესობა იქნება, ან კიდევ ჩვენ ტექნიკური ფეხბურთი მოგვიტანს კარგ შედეგს. ჩვენ, როგორც ბოლო მატჩებში, უმაღლეს დონეზე უნდა დავიცვათ სათამაშო დისციპლინა და მწვრთნელის დავალება შევასრულოთ. ისეთივე შემართებით უნდა ვიყოთ, როგორც თურქეთთან და ურუგვაისთან მატჩებისას.

— შოტლანდიის ნაკრების რა სისუსტის გამოყენება შეიძლება საჩვენოდ?

— საქართველო მთლად ესპანეთი და იტალია არ არის, მაგრამ მათსავით პატარ-პატარა ეშმაკობები კი შეგვიძლია და შოტლანდიასთან ამან შეიძლება დიდი სამსახური გაგვიწიოს. შოტლანდიელები პირდაპირები და ფიცხები არიან და ეს უნდა გამოვიყენოთ.

— საქართველოს ნაკრებისთვის ყველაზე საფრთხილო რა უნდა იყოს?

— საწყისი ათ-თხუთმეტი წუთი. დარწმუნებული ვარ, ამ პერიოდში მასპინძლები გააფრთებით შემოგვიტევენ, ფეხბურთელებს ქომაგებიც აჰყვებიან და ჩვენზე ძალიან დიდი ზეწოლა ექნებათ. ეს საწყისი წუთები უნდა გადავიტანოთ და მერე უფრო თავდაჯერებულნი ვიქნებით.

— გლაზოში კახა კალაძე და ოთარ ხიზანეიშვილი არ იქნებიან. შოტლანდიელთა მთავარი კოზირი კი თავით თამაშია...

— საწყისი 10-15 წუთი რომ ვახსენე, შოტლანდია ამ პერიოდში სწორედ საჯარიმოში ჩაწოდებებით ეცდება გოლის გატანას. ყველამ კარგად იცის, რომ ბრიტანეთში თავით ძალიან კარგად თამაშობენ და სხვანაირი გუნდი არც შოტლანდიაა. კალაძის და ხიზანეიშვილის არყოფნა კი ცხადია, ჩვენთვის დიდი დანაკლისია. თუმცა სიმაღლით შოტლანდიელებს არც ის ფეხბურთელები ჩამოვრჩებით, რომლებიც იქ ვიქნებით. მასპინძლები თუ აქცენტს მაღალ პასებზე აკეთებენ, ჩვენ ბურთს გავაგორებთ.

— კალაძე-ხიზანეიშვილის არყოფნაში დაცვის შუაში შენი მეწყვილე ვინ იქნება?

— ვერ გეტყვით. თუმცა დარწმუნებული ვარ, ვინც იქნება, თავის საქმეს მთელი მონდომებით გააკეთებს და შესაძლებლობების ზღვარზე ითამაშებს. ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა ბოლო მატჩებში, მაგრამ ყველანი ისეთი მონდომებულები ვიყავით, შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად სასურველი შედეგი მივიღეთ და კარგადაც ვითამაშეთ.

— შოტლანდიელთაგან ყველაზე სახიფათო ფეხბურთელად ვის მიიჩნევ?

— მაკლიშს სხვებზე მეტი არჩევანი სწორედ თავდასხმაში აქვს. ვფიქრობ, ჩვენთან ის რეინჯერსელ კრის ბოიდსა და სელტიკელ კენი მილერს ათამაშებს. ბოიდი შოტლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირია და ბოლო ტურში ჰეთ-თრიკიც გააკეთა, ხოლო მილერს ჩემპიონატშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც ბევრი გოლი გაუტანია. ორივე ძალიან სახიფათო ფორვარდია.

**კობა ინასარიძე**

# ყველა ბილეთი გაყიდულია!

## ბევრი რამ საქართველოზე და ბევრში ბევრი შოთაზე

**ევროპის** ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე შოტლანდია — საქართველოს მატჩთან დაკავშირებით სქოთთა ფეხბურთის ასოციაციის პრესსამსახურის უფროსს ენდი მიტჩელს წინა კვირაშიც შევეხმიანეთ და წინასამატჩო ამბები გამოვკითხეთ.

ბუნებრივია, რომ მატჩის მოახლოებასთან ერთად ამბები უფრო და უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება. შოტლანდიელთა სამზადისის თაობაზე ენდი მიტჩელს გუშინაც დავუკავშირდით და უახლესი ინფორმაციაც მივიღეთ...

— შოტლანდიის ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელების ნაწილი უკვე ჩამოვიდა გლაზგოში, სრული შემადგენლობით კი, როგორც წინა საუბრისას გითხარით, სამშაბათს შეიკრიბება და ალექს მაკლიშიც პირველ ვარჯიშს ამ დღეს ჩაატარებს. საბედნიეროდ, იმ შემადგენლობას, რომელიც მაკლიშმა წინა კვირაში გამოაქვეყნა, არავინ გამოკლებია, ყველა ფეხბურთელი კარგ ფორმაშია და მწვრთნელს დამატებით ვინმეს გამოძახება არ დასჭირვებია.

— ამ მატჩისთვის, რა თქმა უნდა, გულმოდგინედ ვემზადებით. ფიფას რეიტინგის მიხედვით, შოტლანდიისა და საქართველოს ნაკრებებს შორის საკმოდ დიდი განსხვავებაა, მაგრამ კარგად გვესმის, რომ რეიტინგები პირობითია და ძალთა რეალურ თანაფარდობას ყოველთვის ვერ ასახავს. ვფიქრობ, ასეა საქართველოს შემთხვევაშიც და თქვენი გუნდი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ფიფას რეიტინგში მისი ადგილის მიხედვით შეიძლება ვინმეს ეგონოს. საქართველოსთან მატჩს ფრთხილად რომ ვეკიდებით, იქიდანაც ჩანს, რომ საქართველო — თურქეთს ამხანაგურ მატჩზე ალექს მაკლიშმა თავისი თანაშემწე გააგზავნა, რომელმაც თბილისიდან დეტალური ინფორმაცია ჩამოიტანა.

— ჩვენს პრესაში მოახლოებულ მატჩზე, ცხადია, ბევრი იწერება. ბუნებრივია, აქცენტი შოტლანდიის ნაკრების მზადებაზე კეთდება, თუმცა საკმაოდ ბევრი რამ საქართველოს ნაკრებზეც იწერება. ქართველების შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებში ჟურნალისტები უპირველესად შოთა არველაძეს გამოარჩევენ როგორც „რეინჯერსის" ყოფილ მოთამაშეს. არველაძეს შოტლანდიაში ძალიან დიდ პატივს სცემენ. სხვათა შორის, უეფას თასზე „ნიუკასლისა" და „ალკმაარის" მატჩების მიმოხილვებში გაზეთები განსაკუთრებით არველაძის კარგ თამაშს გამოარჩევდნენ. იწერება სხვა ქართველ ფეხბურთელებზეც და ნაკრების მწვრთნელებზეც, მაგრამ შოტლანდიაში ყველაზე კარგად მაინც შოთა არველაძეს იცნობენ.

— ჩვენი წინა საუბრისას გითხარით, რომ გულშემატკივართა მხრიდან ამ მატჩისადმი ინტერესი ძალიან დიდია და დარწმუნებული ვარ, რომ „ჰემპდენ პარკი" მთლიანად გაივსება. ახლა კი შემიძლია გითხრათ, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია, მათ შორის 200 ბილეთი საქართველოს ნაკრების გულშემატკივრებმა შეიძინეს. ჩემი ინფორმაციით, საქართველოდან 15 ჟურნალისტს ველით, რომელთათვისაც ალექს მაკლიში მატჩის წინ პრესკონფერენციას გამართავს.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ნაკრების ქომაგთა საყურადღებოდ!

შაბათს, 24 მარტს, საღამოს ექვსის ნახევრიდან გადაიკეტება რესპუბლიკის მოედანი და ქომაგებს საშუალება ექნებათ, დიდ ეკრანზე იხილონ შოტლანდია — საქართველოს დაპირისპირება. ერთად ვუქომაგოთ ჩვენს ნაკრებს! ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

*სფფ-ის პრესცენტრი*

### იტალია

იტალია
სერია B. XXIX ტური
იუვენტუსი 5:1 ტრიესტინა
სერია C/A. XXVI ტური
გროსეტო 1:0 ნოვარა
სერია C/B. XXVI ტური
იუვე სტაბია 1:0 სალერნიტანა

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XIX ტური
სლავია 2:1 ბრნო

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXII ტური
ამადორა 0:1 ბენფიკა

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXIX ტური
გრენობლი — სტრასბური გადაიდო

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XXI ტური
მტკ 2:2 ვაშაში

### უკრაინა

ვიშა ლიგა. XIX ტური
შახტარი 2:1 მეტალურგი (დ)

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVI ტური
პანზა 1:1 კიოლნი

### ინგლისი

ასოციაციის თასი
1/4 ფინალი. გადათამაშება
მანჩესტერი 1:0 მიდლსბრო
ტოტენჰემი 1:2 ჩელსი

### არგენტინა

კლაუსურა. VI ტური
ბელგრანო 3:2 გოდოი კრუზი
კილმესი 0:1 რივერ პლეიტი

### მექსიკა

კლაუსურა. IX ტური
ტეკოსი 2:1 ნეკაქსა
ამერიკა 1:0 გვადალახარა

## საქართველოს 18 ჩემპიონატი
### უმაღლესი ლიგა II წრე. 17 ტური

# ფრიადოსნების ტური
## ოლიმპზე ადმართი გრძელდება და ძნელდება

მერანი 0:0 ბორჯომი
ლოკომოტივი 0:1 ოლიმპი
ზესტაფონი 5:0 ვიტ ჯორჯია
კახეთი 0:1 ჩიხურა
სიონი 1:2 ბათუმი
ტორპედო 0:5 დინამო
ამერი 2:1 დილა



სულიკო დავითაშვილმა ამ ეპიზოდში ვერა, მაგრამ „დილას“ მაინც გაუტანა

**მეთვრამეტე** ეროვნული ფინიშის სწორზე ჯერ არ გასულა, მაგრამ ტურიდან ტურამდე კი მძაფრდება სატურნირო ცხრილი, რომლის კენწეროში ისევ „ოლიმპია“, მაგრამ მშვიდად ყოფნას ვინ აცდის — წინ ცხრა ტურია და რუსთაველთა მდევრებიც იგებენ და იგებენ.

ყველაზე დაძაბულ თამაშს ზესტაფონში ველოდით, სადაც „ვიტ ჯორჯია“ ჩავიდა და უკვე 30-ე წუთზე წაღეკილი იყო. რის დაძაბულობა, საწყის ნახევარ საათში ფეროელები. უკვე 3:0-ს იგებდნენ, თანაც ვიტელებს ზაზა სახოკია გაუძევეს და თამაშიც აქ მორჩა.

გოგი ფიფია კი გოლიათივით იყო მინდორზე — „ზესტაფონის“ 21 წლის შემტევმა სამი გოლი გაუტანა სტუმრებს, საგოლე პასიც მიამატა და ბომბარდირთა დავაში გალიდერდა. ფიფია უდავოდ ტურის მოთამაშე იყო, აი, ზურაბ იონანიძე კი კვლავ უგოლოდ დარჩა — ფეროელთა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ მხოლოდ 24 წუთი უბოძა გამოცდილ „იონას“, ძირითადში კი კვლავ გაგა ჩხეტიანი ჰყავდა.

ასე თუ ისე, იმერლებმა პირველ წრეში წაგებულ 0:3-ისთვის გული მოიოხეს — სწორედ ამ ანგარიშით დამარცხდნენ შარშან „ვიტ ჯორჯიასთან“.

ზესტაფონელებს „დინამომ“ აუბა მხარი და ქუთაისში ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანა „ტორპედოს“. აქედან ორი კი სანდრო იაშვილისა იყო. ერთი კია, ფეროელებმა თუ პირველივე ტაიმში გატეხეს ვიტელები, დინამოელებმა შესვენების შემდეგ დაიწყეს დაბომბვა — ცხრაწუთიან ინტერვალში შეაგდეს სამი გოლი. მოკლედ, „ტორპედო“ ძალიან წახდენილია, დუშან უჰრინის „დინამომ“ კი მეორე ადგილი შეინარჩუნა და ჩემპიონობისკენ იმზირება.

„ოლიმპი“ და „ამერი“ — აი, ვის გაუჭირდათ... რუსთაველებმა ძლივს გატეხეს ცხრილის შუაში მყოფი „ლოკომოტივი“. ეს წაგება რკინიგზელებმა მსაჯ პაატა დოგრაშვილს დააბრალეს — რევაზ გეწაძე საჯარიმოს გარეთ წაიქცა და პენალტი არ უნდა დანიშნულიყო. არადა, რევაზ ძოძუაშვილის გუნდმა სწორედ ამ თერთმეტმეტრიანით გაიტანა კინკილა გოლი.

ამ პენალტის თაობაზე გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს და მსაჯის გადაწყვეტილება მართებულად მიიჩნიეს — დარღვევა საჯარიმოს ფარგლებში იყო.

„ამერმა“ კი სულაც ბოლო წუთებზე გატანილი ტყუპი გოლით მოატრიალა „დილასთან“ თამაში — 0:1-ს აგებდა. გლდანელთა ახალგაზრდა ფორვარდმა ბესიკ ჩიმაკაძემ კი ლამაზი მაკრატელა შეაგდო. ისიც ვთქვათ, რომ გიორგი ჩიხრაძის გუნდს ბლომად ტრავმიანი და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი აკლდა, თუმც „დილასაც“ ნუ დავუკარგავთ გარჯას.

ტურის სენსაცია ბოლნისში შედგა, სადაც „ბათუმმა“ ორი მომენტიდან ორივე გოლად აქცია. ზღვისპირელები აღარ ხუმრობენ — მეორე წრეში უკვე ათი ქულა მოინაგრეს.

„მერანი“— „ბორჯომი“ ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. 0:0 სწორედაც რომ ზედგამოჭრილია ასეთი მატჩებისთვის.

საჩხერის „ჩიხურამ“ კი ჯაბა დვალის პენალტით იმარჯვა თელავში და ზემოიმერლები ათქულიანი ჰანდიკაპით დაუსხლტნენ ბოლოსწინაადგილოსან „დილას“ — ძნელად, დარჩენილ ტურებში ქართლელებმა ამხელა ჩამორჩენა ამოქაჩონ...

**ილია ნანოზაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 17 | 13 | 3 | 1 | 42:6 | 42 |
| დინამო | 17 | 13 | 0 | 4 | 35:13 | 39 |
| ზესტაფონი | 17 | 11 | 5 | 1 | 32:6 | 38 |
| ამერი | 17 | 11 | 4 | 2 | 33:11 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 10 | 4 | 3 | 35:23 | 34 |
| სიონი | 17 | 9 | 2 | 6 | 22:15 | 29 |
| ტორპედო | 17 | 8 | 4 | 5 | 18:15 | 28 |
| ბათუმი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:16 | 19 |
| ბორჯომი | 17 | 4 | 5 | 8 | 16:27 | 17 |
| მერანი | 17 | 4 | 5 | 8 | 14:29 | 17 |
| ლოკომოტივი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:23 | 16 |
| ჩიხურა | 17 | 3 | 4 | 10 | 11:27 | 13 |
| დილა | 17 | 0 | 3 | 14 | 9:45 | 3 |
| კახეთი | 17 | 0 | 1 | 16 | 11:51 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 11-ფიფია | ზესტაფონი |
| 9-ბელქანიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იაშვილი | დინამო |
| 8-დვალიშვილი | ოლიმპი |
| 7-ტატანაშვილი | ამერი |
| დოლიძე | ამერი |
| გ. დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იონანიძე | ზესტაფონი |

**მეთვრამეტე ტური**

31 მარტი, შაბათი
ბორჯომი – ამერი
დილა – ტორპედო
დინამო – სიონი
ბათუმი – კახეთი
ჩიხურა – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ოლიმპი – მერანი




„ზესტაფონმა“ პირველ წრეში ერთადერთი მარცხი იწვნია, 0:4 „ვიტ ჯორჯიასთან“, წინა უქმეებზე კი იმერლებმა სრულფასოვანი რევანში აიღეს და ამის ერთ-ერთი შემოქმედი გოგი ფიფია იყო. სამი გოლი და საგოლე პასი — ასეთია ფიფიას მონაგარი ვიტელებთან მატჩში. 21 წლის თავდამსხმელი მეორე წრეში უფრო [illegible] ათამაშდა და „ვიტ ჯორჯიასთან“ შესრულებული ჰეთ თრიქით ბომბარდირთა დავაში 11 გოლით გალიდერდა. სამი გატანილი ბურთიდან ფიფიამ ერთი პენალტით შეაგდო, დანარჩენი ორი კი ლამაზი სანახავი იყო — ჯერ მეკარეს ოსტატურად გადაავლო ბურთი, შემდეგ კი საჯარიმოში მცველები გააბითურა და...

# მაქსიმუმი და ოლიმპი ზესტაფონისთვის



— თამაში აეწყო, რომ იტყვიან, ისეა ჩემიც და გუნდის საქმეც. ყველამ ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ისე მოხდა, რომ გოლების გატანა მე მომიწია და ეს გასაკვირიც არაა, თავდამსხმელი ვარ და გუნდი ცდილობს, ბოლო დარტყმა შემტევს მიანდოს. მე მეტი მომენტი შემექმნა და მეტი გოლიც გამომივიდა.

— ერთი პენალტით გაიტანე, ორი გოლი კი საკმაოდ ეფექტური იყო...

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, როგორი ბურთი გავა კარში, მთავარია, მან შედეგი მოიტანოს. გოლის სილამაზე უფრო მაყურებლისთვისაა.

— მეორე წრეში აშკარად მოუმატე, ეს შენი საუკეთესო თამაში იყო?

— ყველა მატჩს ერთნაირად ვერ ითამაშებ. როცა მთელ გუნდს მისდის საქმე, მეც უკეთესად გამომდის, ნერვიულობა და დაძაბულობა მეხსნება, თავისუფლად ვარ. ასე მოხდა „ვიტ ჯორჯიასთან“. მართლაც კარგად ვითამაშე, თუმცა თუ კიდევ მოვუმატებ, ამას რა სჯობია.

— სანაკრებო ამბიცია ხომ არ გაგიჩნდა?

— ნაკრებში თამაში ყველა ფეხბურთელის სურვილია და არც მე ვარ გამონაკლისი. მოხარული ვიქნები, თუ გამომიძახებენ, მაგრამ ეს მწვრთნელების გადასაწყვეტია.

— ბომბარდირთა დავაში ორი ბურთით დაწინაურდი, შეძლებ ბოლომდე შეინარჩუნო პირველობა?

— თუ შევინარჩუნებ, კარგი იქნება, მაგრამ მთავარია, გუნდმა გააკეთოს თავისი და ბურთებს ვინ გაიტანს, რა მნიშვნელობა აქვს.

— რა ამოცანები აქვს „ზესტაფონს“?

— მაქსიმუმი ჩემპიონატშიც და თასზეც. თასის აღება უფრო უნდა გაგვიადვილდეს, ჩემპიონატში კი მთავარი ის იქნება, „ოლიმპმა“ დაკარგოს ქულები.

— მარტო „ოლიმპმა“? სხვა გუნდებს კონკურენტებად არ მიიჩნევ?

— ჩემი აზრით, „ოლიმპი“ ამ ეტაპზე ერთადერთი კონკურენტია. საკმაოდ ძლიერ და კარგ ფეხბურთს თამაშობს.

— ჩემპიონობისთვის ბრძოლა უფრო გაგიადვილდებოდათ, გაუთვალისწინებელი ქულები რომ არ დაგეკარგათ...

— მეორე წრისთვის შემადგენლობა შეიცვალა, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ და შეთამაშება გვაკლდა. „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩმა დაამტკიცა, რომ პრობლემები წარსულს ჩაბარდა. გუნდმა ლამაზი, შემტევი და შედეგიანი ფეხბურთი აჩვენა და ჩვენი თავის რწმენა შეგვმატა. დარწმუნებული ვარ, გუნდი კიდევ უფრო მოუმატებს.

— ითქვა, ახალი ფეხბურთელების მისვლით გუნდში პრობლემები გაჩნდაო...

— იმის გარდა, რომ მათი მოსვლის შემდეგ ცოტა შეუთამაშებლობა დაგვეტყო, სხვა არავითარი პრობლემა არ არის. „ზესტაფონი“ ერთსულოვანი გუნდია და ჩვენი ძალაც სწორედ ესაა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## საქართველოს ჩემპიონატი
### პირველი ლიგა II წრე. 22 ტური

დინამო 2 1:1 ამერი 2
მერცხალი 0:3 რაჭა
გაგრა 1:0 მესხეთი
მაღაროელი 3:0 ჩიხურა 2
სამტრედია 1:0 სპარტაკი
ოლიმპი 2:0 ვიტ ჯორჯია 2
მეშახტე — მგლები გადაიდო
მეშაქრე — გურია გადაიდო
ნ. დინამოელი — ზესტაფონი 2 გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 21 | 17 | 2 | 2 | 38:10 | 53 |
| მესხეთი | 21 | 14 | 4 | 3 | 36:11 | 46 |
| ოლიმპი (თბ) | 22 | 11 | 4 | 7 | 42:23 | 37 |
| მეშაქრე | 21 | 10 | 7 | 4 | 28:19 | 37 |
| გაგრა | 22 | 11 | 2 | 9 | 31:27 | 35 |
| ამერი 2 | 22 | 9 | 8 | 5 | 33:26 | 35 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 22 | 10 | 4 | 7 | 35:20 | 34 |
| დინამო 2 | 22 | 8 | 6 | 8 | 42:23 | 30 |
| ნ. დინამოელი | 21 | 9 | 2 | 10 | 30:31 | 29 |
| ზესტაფონი 2 | 21 | 7 | 7 | 7 | 21:17 | 28 |
| მაღაროელი | 21 | 7 | 7 | 7 | 28:25 | 28 |
| სამტრედია | 21 | 7 | 6 | 8 | 21:31 | 27 |
| მეშახტე | 19 | 7 | 3 | 9 | 27:27 | 24 |
| ჩიხურა 2 | 21 | 6 | 3 | 11 | 20:36 | 21 |
| სპარტაკი | 22 | 6 | 3 | 13 | 12:31 | 21 |
| რაჭა | 20 | 5 | 6 | 9 | 21:32 | 21 |
| გურია | 21 | 5 | 3 | 13 | 22:49 | 18 |
| მერცხალი | 22 | 2 | 3 | 17 | 14:63 | 9 |




# კალაძეს ბაიერნისთვის ელიან

**კახა კალაძე** რომ ტრავმის გამო საქართველოს ნაკრებს შოტლანდიასთან და ფარერებთან მატჩში დააკლდება, ამაზე უკვე გაუწყეთ.

გუშინ კი „მილანის" ვებგვერდზე დაიწერა, დიდი შანსია, კალაძემ „ბაიერნთან" 3 აპრილს გასამართ საჩემპიონთალიგო შეხვედრაში ითამაშოსო. ეს „როსონერის" ექიმების ვარაუდია და ვნახოთ... სამწუხარო ისაა, რომ კახას ტრავმა მაინცდამაინც ორ სანაკრებო თამაშს დაემთხვა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანს აქილევსის მყესები სამი თვის წინ დაუშავდა, მერე კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გლაზგოს „სელტიკთან" ტრავმა გაუმიზეზდა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ბალტლიგური ამბები

**„ბალტიის ლიგაში"** მეორე მეტჩი გამართა რიგის „სკონტომ". ზაალ ელიავას და დავით გამეზარდაშვილის გუნდი ლიტვაში „ვეტრას" ეწვია და მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. ორივე ქართველმა სრულად ითამაშა. ლატვიური ვებგვერდები განსაკუთრებით გამეზარდაშვილს აქებენ, „ვეტრას" გამუდმებულ იერიშებს კარგად უმკლავდებოდაო.

მეორე მატჩი გამართა „ვენტსპილსმაც" და ისევ მოიგო. ლატვიის მოქმედმა ჩემპიონმა ამჯერად ლიტვური „ეკრანსი" დაჩაგრა — 3:0.

„ვენტსპილსის" შემადგენლობაში ამაოდ ველოდით დავით იმედაშვილის გამოჩენას, რომელიც იქ კიევის „დინამომ" გაანათხოვრა. იმედაშვილი „ვენტსპილსთან" ერთად ვარჯიშობს, მაგრამ მის შემადგენლობაში ჯერ არ უთამაშია. სამაგიეროდ, სათადარიგოთა შორის გამოჩნდა 18 წლის ლევან ჯღარკავა, რომლის „ვენტსპილსში" გადასვლა უკვე დაადასტურა კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა — ჯღარკავა ფლანგელია და კარგი ტექნიკით და მაღალი სიჩქარით გამოირჩევაო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქება ადამიას, კრიტიკა მუჯირს


გიორგი ადამია

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატში ლიდერი შეიცვალა. ბაქოს „ნეფთჩიმ" 3:0 დაამარცხა „მტკ-არაზი" და გაპირველდა. „ნეფთჩის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო გიორგი ადამია, რომელმაც მორიგი ეფექტური გოლი გაიტანა — წინ გამოსულ მეკარეს მოხდენილი დარტყმით ბურთი თავზე გადაუგდო.

„ნეფთჩის" გალიდერებას ხელი „ბაკიმ" და „ხაზარმაც" შეუწყვეს, რომლებმაც ერთმანეთში უგოლო ფრე ითამაშეს. ხაზარელი ვალერი აბრამიძე მეტოქესთან კინკლაობისთვის მოედნიდან ვადაზე ადრე გაუშვეს. „ბაკის" შემადგენლობაში კარგად ითამაშა ალეკო გოგობერიშვილმა, რასაც ვერ ვიტყვით ამირან მუჯირზე. თუ აზერბაიჯანულ ვებგვერდებს დავუჯერებთ, მუჯირი ყველაზე სუსტად გამოიყურებოდა და საერთოდ, ამ ფეხბურთელს შეკრებაზე თითქოს არაფერი უჭირდა, ჩემპიონატში კი მასზე გაცემულ ავანსებს ვერ ამრთლებსო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# განუგრავა ისევ პანათინაიკოსშია

## ტოპმიოლერმა ფანცხავას უხმო


გიორგი განუგრავამ „პანათინაიკოსის" ამხანაგურ მატჩში ითამაშა

**რამდენიმე** დღის წინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰაინც ტოპმიოლერმა გერმანია-ლუქსემბურგში შეკრებაზე წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა, ეს შეკრება მარტის მიწურულსაა.

უფროს ტოპმიოლერს შემადგენლობაში ერთი ცვლილების გაკეთება მოუხდა: გიორგი განუგრავას ნაცვლად „აგრის" ფორვარდ ვახტანგ ფანცხავას უხმო. ფანცხავა ორიოდ კვირის წინ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს პორტუგალიურ ოთხთა ტურნირზე ახლდა, სადაც საუკეთესო თავდამხსმელად აღიარეს.

რაც შეეხება განუგრავას, იგი ბერძნულ „პანათინაიკოსშია" გასინჯვაზე. 19 წლის ნახევარმცველს, რომელიც ერთი ხანობა საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც თამაშობდა, „ზესტაფონთან" კონტრაქტი დაუმთავრდა. გიორგი ერთხელ უკვე იყო გასინჯვაზე „პანათინაიკოსში" და როგორც ჩანს, პანაელთა მწვრთნელ ვიქტორ მუნიოსს თავი მოაწონა — ასე რომ არ იყოს, ხელმეორედ არ ჩაიყვანდნენ ათენში.

**ილია ნანოგაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ატალანტა 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 1 | 5 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | შტუტგარტი 1:0 | 71 | შეცვალეს, გააფრთხილეს | 21 | 3 | 1 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | შ | ოფენბახი 2:1 | 62 | შეცვალეს | 22 | 3 | 7 |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი | ს | კობლენცი 0:0 | 90 | | 7 | 0 | 14 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | ს | კობლენცი 0:0 | 58 | შეცვალეს | 7 | 3 | 14 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლაუტერნი 4:1 | 90 | 2 გოლი, საგოლე პასი | 23 | 7 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ლაუტერნი 4:1 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 1 | 6 |
| მათე ლვინიანიძე | მიუხენ 1860 | შ | აუგსბურგი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 9 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ვესტ ჰემი 1:2 | 90 | | 17 | 0 | 10 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ჰერაკლესი 0:0 | 32 | შეცვლაზე შევიდა | 25 | 12 | 3 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | ს | ქსანთი 1:1 | 0 | | 15 | 2 | 6 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | პანიონიოსი 1:1 | 90 | | 19 | 0 | 10 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | ზარია 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | ზარია 4:0 | 9 | შეცვლაზე შევიდა | 4 | 0 | 1 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | ს | მ. ზაპოროჟიე 1:2 | 35 | შეცვლაზე შევიდა | 9 | 2 | 6 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | არსენალი 2:1 | 90 | გოლი, საგოლე პასი | 14 | 4 | 10 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | არსენალი 2:1 | 8 | შეცვლაზე შევიდა, გააფრთ. | 15 | 3 | 10 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | შ | ტავრია 2:0 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 16 | 4 | 3 |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო | შ | ტავრია 2:0 | 0 | | 3 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | ჩერნომორეცი 3:2 | 66 | გოლი, შეცვალეს | 19 | 9 | 7 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | ს | ჩერნომორეცი 3:2 | 14 | შეცვალეს | 17 | 1 | 7 |
| გიორგი ჭელიძე | ზარია | ს | დინამო 0:4 | 90 | | 2 | 0 | 15 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | კრივბასი 2:3 | 57 | შეცვალეს | 17 | 0 | 9 |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩევეცი | შ | ვორსკლა 0:1 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 14 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი | შ | ლუჩენერგია 0:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 1 | 0 | 12 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ლოკომოტივი 1:2 | 90 | | 2 | 0 | 16 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | ლოკომოტივი 1:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 16 |
| დავით მუჯირი | კრილია | ს | ნალჩიკი 0:0 | 74 | შეცვალეს | 2 | 0 | 6 |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | რუბინი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 5 |
| ალეკო ამსულაშვილი | ნალჩიკი | შ | კრილია 0:0 | 90 | | 2 | 0 | 14 |
| ლევან გვაზავა | ნალჩიკი | შ | კრილია 0:0 | 90 | | 2 | 0 | 14 |
| **დანია. სასლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | ბრონდბიუ 1:1 | 90 | | 4 | 0 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ჩვენ ვართ ჩემპიონები!




**სერია A-ს ულაპარაკო ლიდერმა მილანის „ინტერმა“ ამ უქმეებზე ზლატან იბრაჰიმოვიჩის წყვილი გოლით სტუმრად „ასკოლისთან“ მატჩში მორიგი გამარჯვება მოიპოვა და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა სკუდეტოს.
საერთოდაც, „ინტერი“ წლეულს იტალიაში შეუდარებელია, თუმცა ევროსარბიელზე მაინცდამაინც ვერ გაიბრწყინა...
ამ და სხვა საკითხებზე „ნეროაძურის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის SKY ITALIA ესაუბრა...**

## მასიმო მორატი: მიეცით ოქროს ბურთი ზლატან იბრაჰიმოვიჩს!

— ალბათ სასიამოვნოა, როცა „ასკოლისთან“ მორიგი მოგების შემდეგ სატურნირო ცხრილს უყურებთ და თქვენს კლუბს პირველ ადგილზე ხედავთ...

— რა თქმა უნდა, თანაც სერია A-ს დამაჯერებლად ვლიდერობთ და ნერვიულობის საბაბი ნაკლებია. გუნდი კარგად ირჯება, მეც და მწვრთნელიც კმაყოფილები ვართ, შესაბამისად, ფეხბურთელებიც და, რაც მთავარია, ფანები არიან ბედნიერები.

— უკვე იმაზეც ბჭობენ, თუ რომელ მატჩში გაინაღდებს „ინტერი“ სკუდეტოს. შესაძლოა, ეს „რომასთან“ შეხვედრაში მოხდეს, რაც ალბათ ბრწყინვალე საჩუქარი იქნება გუნდისთვის და ფანებისთვის...

— ჯერ არანაირი საჩუქრის დრო არ არის და მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. „რომასთან“ მატჩი ნამდვილად მნიშვნელოვანი იქნება — მათ ჩინებული გუნდი ჰყავთ. მთავარია, ასე გავაგრძელოთ, ყველა მეტოქეს სერიოზულად მოვეკიდოთ და თამაშისგან სიამოვნება მივიღოთ.

— ზლატან იბრაჰიმოვიჩი თითქმის ყველა მატჩში ლიდერის როლს თამაშობს და ბრწყინვალე სეზონს ატარებს. თქვენი აზრით, იგი „ოქროს ბურთს“ იმსახურებს?

— დიახ, იგი ნამდვილად იმსახურებს ამ ჯილდოს. ზლატანი ექსტრაორდინალური და დიდი პოტენციალის მქონე ფეხბურთელია, რასაც ყველა მატჩში ამტკიცებს. იმედია, ასე გააგრძელებს და საყოველთაო აღიარებასაც მოიპოვებს.

— ამბობენ, რობერტო მანჩინისთან კონტრაქტის გახანგრძლივება უკვე შეთანხმებულია და მხარეებმა საბუთებსაც მოაწერეს ხელი, მაგრამ ჯერ ოფიციალურად არ ახმაურებენო. ეს მართალია?

— არა. მიხარია, რომ ასეთი ჭორები ვრცელდება, ესე იგი, არავინ არაფერი იცის. ხუმრობის გარეშე კი, ამ საკითხზე მოლაპარაკებას ახლო მომავალში ვაპირებთ.

— თქვენმა ერთ-ერთმა საყვარელმა ფეხბურთელმა ალვარო რეკობამ, რომელიც სადაცაა, მომჯობინდება, განაცხადა, მეტი სათამაშო დრო მინდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, წავალო...

— ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. მესმის, ხშირად უნდა თამაში და ძალიან ვწუხვარ, რომ ტრავმები უშლის ხელს. იმედია, მალე საბოლოოდ მომჯობინდება. ყოველთვის, როცა რეკობა არ თამაშობს, ვგრძნობ, რომ რაღაც გვაკლია...

— თქვენი აზრით, „მესტალიაზე“ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით უეფას გადაწყვეტილების გასაჩივრება შედეგს გამოიღებს?

— დარწმუნებული ვარ, აპელაცია წარმატებული იქნება და დისკვალიფიკაციები შემცირდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არის რამდენიმე ისეთი ფაქტი, რომლის გადახედვაც აუცილებლად მოუწევთ.

# ანჩელოტის დარჩენა ტაბლოზე დაიწერება

## კარლო ძალიან გვიყვარს, მაგრამ...



**„მილანიდან“** კარლო ანჩელოტის შესაძლო წასვლაზე და მარკო ვან ბასტენის, მარჩელო ლიპის ან ფრანკ რაიკარდის მოსვლაზე საუბარი გრძელდება.

მართალია, ახლახან „კარლიტომ“ თქვა, მინდა, „როსონერის“ სერ ალექს ფერგიუსონი ვიყოო, მაგრამ „შავ-წითლების“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ აღნიშნა, ყველაფერი შედეგებზე იქნება დამოკიდებულიო...

„ჩვენ ყოველთვის დიდ პატივს ვცემდით და გვიყვარდა ანჩელოტი. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა იგი „მილანში“ თამაშობდა. ბუნებრივია, ეს ახლაც ასეა. თუმცა ნებისმიერი მწვრთნელის დამტკიცებას და მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას კარგი შედეგები უნდა უძღოდეს წინ“ — თქვა გალიანიმ.

კარგ შედეგებში ალბათ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული გამოსვლა და სერია A-ს ოთხეულში მოხვედრა იგულისხმება.

აღსანიშნავია ისიც, რომ „როსონერის“ ხელმძღვანელობამ უკვე დაიწყო მომავალი სეზონისთვის მზადება და ტრანსფერებზე ფიქრი.

„ჩვენი კლუბი დემოკრატიულია — ახალი ფეხბურთელების შეძენა ყოველთვის თანხმდება ხელმძღვანელობასთან, მწვრთნელთან და გუნდის ვეტერანებთან. სანამ ვინმეს ვიყიდით, აზრს პაოლო მალდინის და ალესანდრო კოსტაკურტას ვეკითხებით ხოლმე. ვფიქრობ, ეს ნორმალურია. ჩვენ ასე, ერთად ვმუშაობთ და პასუხისმგებლობასაც თანაბრად ვინაწილებთ“ — თქვა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა.

**გიორგი კაკაბაძე**



## შენი ადრიანო შენს ტონიში

**იტალიური** ჟურნალ-გაზეთების ცნობით, ლუკა ტონი სეზონის ბოლოს, შესაძლოა, „ინტერში“ გადავიდეს.

ამ ტრანსფერზე საუბარი შარშან ზაფხულშიც იყო. „ფიორენტინას“ ფორვარდს „იუვენტუსს“, მიუნხენის „ბაიერნსა“ და სხვებსაც უკავშირებდნენ, მაგრამ ფლორენციელთა ხელმძღვანელობამ მისი შენარჩუნება შეძლო — „იების“ პრეზიდენტი ანდრეა დელა ვალე ტონის შეჰპირდა, თუ ამ რთულ სეზონში დაგვეხმარები, მომავალ ზაფხულს წასვლის ნებას მოგცემო.

ტონი დაახლოებით 21 მილიონ ევროდ ფასდება. თუმცა, შესაძლოა, „ფიორენტინა“ მეორე ვარიანტსაც დათანხმდეს, ანუ ბევრად ნაკლებ თანხას და ადრიანოს.

შევახსენებთ, რომ ადრიანოს უკვე უთამაშია „იებში“ და პირველად სერია A-ში სწორედ ფიორენტინელთა მაისურით გაიბრწყინა.

„სეზონის ბოლომდე არ მინდა ტონიზე ლაპარაკი. იქამდე კი ჯერ რამდენიმე თვეა დარჩენილი“ — განაცხადა დელა ვალემ.

**კოკი კანდელაკი**

# პირდაღებული ქაღალდი

## მანჩინის ვერ გაუგია: რატომ აჭარბებს პრესაც და უეფაც?

**მილანის** „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ თქვა, რომ საკუთარ მომავალზე არ ღელავს და „ნეროაძურისთან“ მის კონტრაქტზე პრესაში ატეხილ აურზაურს ყურადღებას არ აქცევს.

მანჩინის „ინტერთან“ მოქმედ კონტრაქტს ივნისში გასდის ვადა და მისი გახანგრძლივება ჯერ ვერ მოხერხდა. „ლაციოს“ ყოფილი თავკაცი „ნეროაძურის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის ამ საკითხზე წინა კვირაში უნდა გასაუბრებოდა, მაგრამ შეხვედრა ისევ გადაიდო.

იტალიურ პრესაში კი მითქმა-მოთქმა არ წყდება — მანჩინი მომავალ სეზონში „ინტერის“ მწვრთნელი აღარ იქნებაო. მით უმეტეს, მილანელთა ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ.

თანაც თავად მანჩინის არაერთხელ უთქვამს, ინგლისში მუშაობა მინდაო.

„პრეზიდენტს დაველაპარაკები და გადაწყვეტილებასაც მივიღებთ. ნებისმიერ შემთხვევაში, აურზაურის მიზეზს ვერ ვხედავ. შეხვედრა და საუბარი გაგვიადვილდება, როცა დასახულ მიზნებს მივაღწევთ. „რომამ“ ქულები რომც აღარ დაკარგოს, თუ მომავალ ოთხ მატჩს მოვიგებთ, სკუდეტო უკვე ჩვენი იქნება და მშვიდად სალაპარაკო დროც გაგვიჩნდება. ჩემით „ჩელსია“ დაინტერესებული? მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ლონდონელებს ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ, რაც, არა მგონია, ახალი იყოს“ — თქვა მანჩინიმ.

„ინტერის“ მწვრთნელს „ვალენსიასთან“ მატჩის შემდეგ მოჩხუბარი ინტერელების სასჯელზეც ჰკითხეს: „ჩემი აზრით, უეფამ ცოტა გადაამეტა. ვფიქრობდი, ნიკოლას ბურდისო მაქსიმუმ 3-4 მატჩით დაისაჯათ, მაგრამ მას ექვსთამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. აი, დუგლას მაიკონის, ივან კორდობასა და ხულიო რიკარდო კრუზის დასჯა საერთოდ გადაჭარბებულად მეჩვენება. მგონი, ბუნებრივია, რომ ისინი ბურდისოს გამოექომაგნენ — ამაში განსაკუთრებული არაფერია“.

**გიორგი კაკაბაძე**

# აბრამოვიჩი მაურინიოს არდანაჩხვაში 22,5 მილიონ ევროს იხდის





ჟოზე მაურინიოს შემცვლელთა კანდიდატებს ფრანკ რაიკარდი დაემატა

## ჰიდინკი და კუმანი რაიკარდმა გაასამა

**რომან აბრამოვიჩსა** და ჟოზე მაურინიოს ურთიერთობა რომ გაუფუჭდათ, ყველამ იცის. თუმცა ინგლისური THE PEOPLE უფრო შორს წავიდა და დაწერა, რომ „ჩელსის" პატრონს პორტუგალიელის დანახვაც აღარ უნდა და მომავალ სეზონში „ბარსელონას" თავკაც ფრანკ რაიკარდის მოწვევს აპირებს.

გაზეთის მტკიცებით, აბრამოვიჩს „ჩელსის" დირექტორატისთვის უთქვამს, თუ მაურინიო გაგვეცალა, საუკეთესო კანდიდატი რაიკარდია და მის ხელში ჩასაგდებად არანაირ თანხაზე უკან არ უნდა დავიხიოთო.

ლონდონში იციან, რომ პორტუგალიელი გაისად „სტემფორდ ბრიჯზე" აღარ გაჩერდება და სავარაუდო მწვრთნელთა კანდიდატურებს განიხილავენ. საუბრობენ გუს ჰიდინკზე, რონალდ კუმანზე, მაგრამ THE PEOPLE-ს თუ ვენდობით, აბრამოვიჩი ყველაზე მეტად რაიკარდს ემხრობა.

მაურინიოს „ჩელსიდან" საკონტრაქტო ვადის დასრულებამდე გაშვება რუსს 22,5 მილიონი ევრო დაუჯდება, თუმცა, ცხადია, ეს თანხა აბრამოვიჩის სალაროს ბევრს ვერაფერს დააკლებს. ის კი არა, რუსს ახალი მწვრთნელის გადასაბირებლად 40 მილიონი აქედანვე გადაუნახავს.

როცა „ჩელსის" პრეზიდენტმა მაურინიო დანიშნა, ფიქრობდა, რომ ნიჭიერი პორტუგალიელი მის გუნდს ჩემპიონთა ლიგას მოაგებინებდა. „მაუმ" ეს ვერ შეძლო და ლიგაში სწორედ რაიკარდის „ბარსასთან" დამარცხდა. ეტყობა, მილიარდერის გადაწყვეტილებაზე, სამომავლოდ ჰოლანდიელი მიიწვიოს, ზეგავლენა ამანაც მოახდინა.

ჟოზეც მშვენივრად ამჩნევს, რომ რუსი აღარ ენდობა.

აბრამოვიჩის გაზვიადებული მოთხოვნებით გულგაწყალებულმა „მაუმ" ეს თქვა: „ჩელსის" ქვეყნის გადაბრუნებას ნუ მოსთხოვთ. 2006 წლის ბოლოს ფეხბურთელთა ტრავმების გამო პრობლემები შეგვექმნა, მაგრამ კლუბის მეპატრონემ ახალ ტრანსფერებზე სასტიკი უარი განგვიცხადა. და ეს მაშინ, როცა ამდენი ფული აქვს."

ფული ფულად და, პრეზიდენტის მიერ ათვალწუნებული პორტუგალიელი მადრიდის „რეალს" ეკეკლუცება...

„ბედნიერი ვიქნებოდი, ერთ მშვენიერ დღეს „რეალის" მწვრთნელად რომ დამნიშნონ" — განუცხადა მაურინიომ ესპანურ „მარკას".

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თავად რაიკარდი რას ფიქრობს?

— „ბარსელონასთან" კონტრაქტის გაწყვეტას არ ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში, მომავალ სეზონშიც „კამპ ნოუზე" დავრჩები, მერე კი დრო აჩვენებს — უთხრა ჰოლანდიელმა „მარკას".

ვნახოთ, ვინ ვის ჩამოართმევს ხელს...

**ლადო ხოშერიძე**

## დეკემბერი, დეკემბერი... რა ვერ გაიგო გულანთებულმა ლამპარდმა?

**ქვემოთ** რომ წერილს წაიკითხავთ, მისი მოკლე შინაარსი ესაა: ფრენკ ლამპარდს „ჩელსიში" დარჩენა სურს. ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა ბოლოს და ბოლოს დაარღვია დუმილი და მკაფიოდ განაცხადა, რომ კარიერის ლურჯი მაისურით დასრულებაზე ოცნებობს.

არადა, რას აღარ ამბობდნენ. ლამპარდი ხან „რეალს" დაუკავშირეს, ხან „ბარსელონას" და ხანაც „იუვენტუსს", თუმცა, როგორც გაირკვა, არც ერთია მართალი, არც მეორე და არც მესამე.

„ჩემი და „ჩელსის" საკონტრაქტო ურთიერთობებზე აქამდე იმიტომ ვდუმდი, რომ დღეს, როდესაც სტადიონებზე დიდი ბრძოლებია გაჩაღებული, ასეთ თემებზე საუბარი გამართლებულად არ მიმაჩნია — თქვა ვარსკვლავმა „სანთან" ინტერვიუში — თუმცა, მეორე მხრივ, უკვე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ თავი მოვალედ ჩავთვალე, გამოვსულიყავი, რათა გულშემატკივრისთვის პირდაპირ მეთქვა, რაც ხდება. საქმე ასეა: მე „ჩელსიდან" წასვლა არასდროს მდომებია და ასეთი რამ არც დამიგეგმავს...

...აქ ყველაფერი მაქვს, რაზეც ადამიანი ცხოვრებაში შეიძლება ოცნებობდეს. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ჩემთვის მხოლოდ ორი რამ არსებობდა — ოჯახი და „ჩელსი". ვიცი, ბევრი ფეხბურთელი იტყვის, რომ ეს ბავშვური ან ყალბი ნათქვამია, მაგრამ მე მისი არ მრცხვენია, რადგან ეს სრულიად გულწრფელი გახლავთ. მე ძალიან მეამაყება, ლონდონის „ჩელსის" ფეხბურთელი რომ ვარ და გუნდთან ერთად ამდენ წარმატებას მივაღწიე...

...მინდა, ორი სიტყვა ვთქვა იმის შესახებაც, რომ სპორტულ კარიერაში ძალიან მეხმარება ოჯახი. თანაც, ჩემი საცოლე ელენი და მე ზაფხულზე მეორე ბავშვს ველოდებით. იცით, ჩვენ ჩელსიში ცხოვრება მოგვწონს და გვინდა, ბავშვები სწორედ ამ უბანში გავზარდოთ, ამ დროს კი ვხედავ, რომ ხალხი დააჯერეს, თითქოს მე სადმე წასვლაზე ვოცნებობდე. ეს ასე არ არის...

...ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქომაგთა აზრიც. ეს ხალხი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, ისინი ჩემი საფეხბურთო ოჯახის ნაწილი არიან. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წლები რომ გავა და ფეხბურთს ველარ ვითამაშებ, ტრიბუნაზე სწორედ ამ ხალხს უნდა მივუჯდე გვერდით და მათთან ერთად უნდა ვუქომაგო ჩემს გუნდს".




შემდეგ ლამპარდმა მოყვა, როგორ გაუხარდა და, იმავდროულად, გაუკვირდა, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის წინ „ჩელსის" ხელმძღვანელებმა ახალ კონტრაქტზე რომ ჩამოუგდეს სიტყვა. ამ ამბავში გასახარი რაც იყო, გასაგებია, გასაკვირი კი ის აღმოჩნდა, რომ პირველი მოლაპარაკებები ლამპარდის აგენტ სტივ კანტერსა და „ლურჯთა" შეფებს შორის... მხოლოდ დეკემბერში შედგა, და მას მერე სულ ერთხელ თუ ორჯერ განმეორდა.

„მთელი ამ თვეების განმავლობაში გაოცებული გახლდით, ვერ გამეგო, რა ხდებოდა, რატომ აყოვნებდნენ მოლაპარაკებებს. საერთოდაც, ხომ გითხარით, არაფერზე ვნერვიულობ, უბრალოდ, ვერ გამიგია, რატომ ლაპარაკობს გარშემო ყველა ჩემ სადღაც წასვლაზე".

ბოლოს კი ჟურნალისტებმა ლამპარდს იმ ფოტოს კომენტირება სთხოვეს, რომელიც „სარბიელის" მკითხველთათვისაც ცნობილია — ხსენებული აგენტის კანტერის „იუვენტუსის" შეფებთან შეხვედრაზე მოგახსენებთ...

„ჩემი აგენტი სხვადასხვა კლუბების წარმომადგენლებს ხვდება. მაგალითად, გასულ კვირას მან მარტინ ონილთან ერთად ივახშმა, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ მე „ასტონ ვილაში" გადავდივარ?

...დიახ, ფიფას იმ ახალი წესის შესახებაც მსმენია. ყოველდღე ამაზე წერენ გაზეთებში და, ბუნებრივია, საქმის კურსში ვიქნები, მაგრამ მინდა, ხმამაღლა განვაცხადო, რომ ჩემი სურვილია, ჯერ „ჩელსისთან" კონტრაქტით დარჩენილი ორი წელიწადი ამოვწურო, მერე კი ახალი ხელშეკრულებაც გავაფორმო".

**ბაკუნა ძიძია**

# პატარა თეოს პატარა სეზონი




**ლონდონის** „არსენალის" ახალგაზრდა ვარსკვლავ თეო უოლკოტისთვის სეზონი დასრულდა. ამ უქმეებზე იგი „ევერტონთან" მატჩში 75-ე წუთზე შევიდა მინდორზე და მხრის მძიმე ტრავმა მიიღო.

„მეთოფეების" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი: „უოლკოტისთვის სეზონი დამთავრებულია. იგი სამშაბათს ოპერაციას გაიკეთებს — ექიმებმა ასე გვირჩიეს და ჩვენც უნდა დავემორჩილოთ. თეო მშვენივრად ირჯებოდა, სანამ მხარს დაიზიანებდა. თუ როდის დაბრუნდება მინდორზე, მოგვიანებით გეტყვით".

„ევერტონთან" მატჩი „არსენალმა" 90-ე წუთზე ენდრიუ ჯონსონის გოლით წააგო. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ბოლო დროს „მეთოფეებს" ყველაფერი რიგზე ვერ აქვთ...

„ფიზიკურად სათანადო ფორმაში არ ვიყავით და მომენტებიც ვერ გამოვიყენეთ. გუნდური სული ჩანდა, მაგრამ ცოტა შემართება და აგრესია გვაკლდა. ოთხეულში ადგილი გარანტირებული ჯერ არ გვაქვს, წინ კი რამდენიმე რთული მატჩია. ამიტომ, ყურადღებით უნდა ვიყოთ. „ბლექბერნთან" ბოლო წუთზე წავაგეთ, შეხვედრის მიწურულს გაგვიტანა პსვ-მაც, ასევე იყო „კარლინგის თასის" ფინალში „ჩელსისთან" და ახლა „ევერტონთანაც"... რაღაც გვაკლია და ეს ალბათ პირველიდან ბოლო წუთამდე კონცენტრაციაა" — დასძინა ვენგერმა.

**კოკი ძანდელაძე**

# რუნიმ თამასა აწია
## ჯერ ფეხბურთი, მერე ქორწილი



**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა უეინ რუნიმ განაცხადა, რომ კოლინ მაკლაფლინზე 2008 წლის ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იქორწინებს.

ქორწილის გაშუქების ექსკლუზიური უფლება ჟურნალ Hallo-ს ერგო, რომელიც ამის სანაცვლოდ წყვილს 1,5 მილიონ გირვანქას გადაუხდის.

„ეს ყველაზე დიდი თანხაა, რომელიც ჟურნალს ექსკლუზიური უფლების მიღებაში გადაუხდია" — წერს „სანდი თაიმსი" და იქვე მიანიშნებს, ასეთი თანხა Hallo-ს დევიდ და ვიქტორია ბექჰემების ქორწილშიც კი არ გადაუხდიაო.

21 წლის რუნი ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია — მისი მანჩესტერული ხელფასი კვირაში 100 ათასი გირვანქაა, გარდა ამისა, რუნის ათწლიანი კონტრაქტი აქვს „ნაიკთან" და უკოფეინო „კოკა-კოლასთან".

უეინი და კოლინი ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან არიან ერთად და 2003 წელს დაინიშნენ.

**ბახა ზალამბერიძე**

## ტერის ძომაგი მორატი

**„სანდი მაილი"** ამტკიცებს, რომ თუ ჯონ ტერი „ჩელსისთან" კონტრაქტის განახლებაზე ვერ მორიგდება, მილანის „ინტერი" ლონდონურ კლუბს მცველის სანაცვლოდ 29 მილიონ ევროს შესთავაზებს.

„ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი ტერის დიდი ქომაგია და ნაღდი გადამხდელია, მით უმეტეს, რომ „შავ-ლურჯებს" მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგაში დისკვალიფიკაციის გამო მაიკონი და ბურდისო ექვს-ექვსი, კორდობა კი სამი მატჩით დააკლდებათ.

**გაგა ხუციშვილი**

# Great stadium



# ჯადოსნური ყველაფერი ძვირია

**ახალი** „უემბლი" ბოლოს და ბოლოს ხალხს დაენახვა, ჩაკეტილი ჭიშკარი გაალო და, როგორც ენამწარე ინგლისელი ჟურნალისტები ამბობენ, მხოლოდ ორჯერ დაასლოკინა.

და რა უძლოდა ამ ყველაფერს წინ? 2352 სამუშაო დღე, 757 მილიონი გირვანქა ხარჯი, უამრავი შეფერხება და კიდევ უფრო მეტი დაბრკოლება თუ გაუგებრობა.

მაშ ასე, გასულ შაბათს, 17 მარტს, მშენებლებმა ახალი ნაგებობის კარი გახსნეს და 6 ათასი ადამიანი შეუშვეს.

უფასოდ? როგორ გეკადრებათ, დათვალიერება ფული ღირდა და თან პირველი, რაც ამ ბილეთების მფლობელთა ნაწილს გადახდა, რიგში დგომა იყო — ისინი „უემბლიზე" კლუბის ჭიშკრიდან 11 საათზე უნდა შეეშვათ, მაგრამ ვაგლახ, დანიშნულ დროზე კარიბჭე ჩარაზული დახვდათ. როგორც News of the world-ის კორესპონდენტი წერს, სტადიონის ლოყებღაჟღაჟა თანამშრომლები ლუღლუღებდნენ, რომ გასაღები დაკარგეს...

რას იზამ, როგორც ჩანს, ინგლისშიც ხდება, ოღონდ იქ ამის გამო ერთ ამბავს ტეხენ, ჩვენში კი შინაურობაა და მოსულა...

ერთი სიტყვით, ის ხალხი, ვინც სტადიონს „უემბლის კლუბის სექტორიდან" მიადგა, შოუს დასაწყისს ვერ დაესწრო.

და რა ხდებოდა შიგნით? მართალია, 90 ათასივე სკამი თავის ადგილზე იდგა, მაგრამ იარუსებზე ასასვლელი ლიფტები არ მუშაობდა — ხურდის ჩასაყრელი მანქანები ჯერ არ იყო დამონტაჟებული.

კიდევ ჟურნალისტებს ძალიან არ მოეწონათ საკვების დახლებთან დაწესებული ფასები, ცეცხლი ეკიდაო. მაგალითად, ერთ ჭიქა წითელ ღვინოს 4 გირვანქა, ანუ 7,76 დოლარი ედო, ჩიპსებს 7 გირვანქა, ანუ 13,59 დოლარი, ჩისბურგერს კი 5 გირვანქა, ესე იგი, 9,71 დოლარი.

ახლა სტადიონს გარეთ გავიდეთ. რას ვხედავთ აქ? უამრავ ტრაქტორსა და ბულდოზერს, მანქანების დასაყენებლად კი ერთადერთი პარკინგია (ჩვენებურად, „სტაიანკა"), რომელიც 2900 მანქანას იტევს და ისიც მხოლოდ vip-ებისთვის არის გათვალისწინებული. რატომ? რაიმე შეცდომაა? იქნებ, ჯერ არ დაუსრულებიათ ჩვეულებრივ მოკვდავთა პარკინგების მშენებლობა? არა, ბატონო. ახალი „უემბლი" საზოგადოებრივი ადგილია და, ყველამ კეთილი ინებოს, ფეხბურთზე მეტროთი და ავტობუსით მივიდეს.

ისტორიიდან: წინა „უემბლი" 1923 წლის აპრილში გაიხსნა, 300 დღეში აშენდა და სულ 750 ათასი გირვანქა დაჯდა.

დღევანდელობიდან: ახალი „უემბლი" ავსტრალიურმა სამშენებლო ფირმა „მალტიპლექსმა" ერთი წლის დაგვიანებით და ბიუჯეტის გვარიანი გადამეტებით ჩააბარა პატრონს. ამბობენ, ეს ჯერ კიდევ არ არის ბოლო თანხა, 352 მილიონი გირვანქა ინგლისელებს კიდევ დასამატებელი გაუხდებათო.

სხვა მხრივ კი, ყველაფერი დიდებულად ყოფილა. ლეგენდარული წყვილი კოშკის ნაცვლად ახლა ვიწრო, მაგრამ თვალუწვდენელი სიმაღლის თაღი აუგიათ, სახურავი კი მოძრავია.

ხოლო ტრიბუნიდან მოედანს რომ გადაჰყურებ, ინგლისელ ჟურნალისტთა დამოწმებით, საოცარი შეგრძნება გეუფლება. ერთი ეგაა, სულ ზედა რიგიდან ფეხბურთელების გასარჩევად ჭოგრიტი დაგჭირდებათ, მაგრამ ჯადოსნურობის შეგრძნება იქიდანაც უზრუნველყოფილია.

ახალი „უემბლის" პირველი თამაში ინლისისა და იტალიის 21-წლამდელთა გუნდებს შორის შაბათს, 24 მარტს გაიმართება.

**ბაკუნა ძედია**



# კაკამ რონალდინიო თავის თავზე აიღო



**რონალდინიო** ახლა ცუდად თამაშობს, ყოველგვარი გამობრწყინებისა და მოედანზე ცეცხლის დანთების გარეშე. მისთვის და საერთოდ ბრაზილიის ნაკრებისთვის სავალალო 2006 წლის მუნდიალი უკვე რამდენიმე თვეა, ისტორიას მიბარდა, თუმცა კიჭა კვლავ გათანგულივითაა და „ბარსელონას" თუ პენტაკამპეონების გულშემატკივრებს ძველებურს ვერაფერს სთავაზობს — რონალდინიო შარშანდელთან შედარებით უსუსური აჩრდილია.

„ბარსას" ქომაგთათვის ამის აღიარება ვინძლო ძნელია, მაგრამ ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დონე თვალსა და ხელს შუა იფერფლება და თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა...

„უელვასთან" მატჩში „ბარსელონას" მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა მე-80 წუთზე ბრაზილიელის ნაცვლად ეიდურ გუდიონსენი შეიყვანა. ასეთი რამ ადრე არ ხდებოდა — როცა კიჭა რკინისმკვნეტელი იყო, ფანებს მისი შეცვლა ვერც წარმოედგინათ...

„უელვასთან" თამაშის მეორე დღეს ესპანურმა გაზეთებმა უმალ დაწერეს, რაიკარდი ბრაზილიელის ფორმაში არყოფნით დაიღალა და ამიერიდან სათამაშო წუთების რაოდენობას სულ უფრო და უფრო შეუმცირებსო.

და ეს ყველაფერი მაშინ, როცა „ბარსას" ბანაკში დაბრუნებული ტრავმამორჩენილი ფეხბურთელები დიდებულად თამაშობენ — არგენტინელმა ლეო მესიმ და კამერუნელმა სამუელ ეტოომ ნამდვილად დაჩრდილეს დასუსტებული რონალდინიო.

კატალონიური „სპორტი": „ეტოო გოლისთვისაა დაბადებული. იგი საოცარი ფეხბურთელია და მხოლოდ მისი გამოჯანმრთელების შემდეგ ვხვდებით, როგორ აკლდა „ბარსას" თავდასხმას ეს ჯადოსნური აფრიკელი. მეომრული სულის მქონე სამუელმა რთული ტრავმა მოირჩინა და მსოფლიო ფეხბურთს ისევ ვარსკვლავად მოევლინა."

ეტოოს ადრეც შეეძლო „ბარსას" მეტოქეებს ჩვეული ჯიქურობით დასტაკებოდა, თუმცა რაიკარდთან ურთიერთობის შემდეგ დაბრუნება ოდნავ გადაავადა. თან ტრავმაც სრულფასოვნად უნდა მოეშუშებინა.

რონალდინიო? უცნაურად ჩამქრალ კიჭას ვინღა უშველის? თუ რონის თანამემამულე კაკას ვკითხავთ, გაუჩოს „მილანში" გადასვლა გამოახედებს თვალებში.

გუშინ კაკამ იტალიელ ჟურნალისტებს უთხრა, როდესაც სანაკრებო შეკრებაზე რონალდინიოს ვნახავ, აუცილებლად ვეტყვი, „მილანში" გადმოვიდეს — თავადაც იცის, რომ ყველაზე მეტად ჩვენთან ელიანო.

„რონის წამალი „მილანია". როგორც კი იგი თამაშს ჩვენთან დაიწყებს, ყველანაირი პრობლემა მოეხსნება" — განაცხადა კაკამ.

პენტაკამპეონთა ნაკრები მალე ჩილეს და განას უნდა შეერკინოს და კაკა-რონალდინიოს ისტორიული მოლაპარაკებაც ცხრა მთას იქით არ არის.

შეგახსენებთ, რომ „მილანის" პატრონი სილვიო ბერლუსკონი სანატრელი რონალდინიოს შესაძენად მზადაა, „ბარსელონას" საარაკო თანხა, 110 მილიონი ევრო გადაუხადოს. თუ ეს გარიგება შედგა, მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ტრანსფერი იქნება...

**ლადო ხომერიკი**

## აგადა ვართ, აგადა

**უკრაინის** ჩემპიონატში ლვოვის „კარპატი" დონეცკის „მეტალურგთან" სათამაშოდ არ გამოცხადდა. ლვოველ ფეხბურთელებს რაღაც ეპიდემია შეჰყრიათ და მატჩის გადატანა უთხოვიათ ფედერაციისთვის. ფედერაცია თავიდან დაჰყაბულდა, მაგრამ მერე გადათქვა. „კარპატი" კი ვერ ჩავიდა დონეცკში და ალბათ ტექნიკურ წაგებას ჩაუთვლიან.

## თურქი წავა, თურქი მოვა

**„ნიუკასლის"** თურქი ნახევარმცველი ემრე ვგებ ბერლინის „ჰერტაში" აღმოჩნდეს. „ბერლინერ ცაიტუნგის" ცნობით, „ჰერტადან" ილდირაი ბაშთურქი აპირებს წასვლას და ემრეც მის შემცვლელად უნდათ. ჰერტელთა მწვრთნელი ფალკო გიოტცი კარგად იცნობს ნიუკასლელის აგენტ აჰმეტ ბულუტს, ვისთანაც საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა „გალათასარაიში" მუშაობისას.

ემრე ბელოზოღლუ ამ სეზონში ორჯერ იყო ეჭვმიტანილი რასისტულ გამოხდომაში, რასაც ფეხბურთელი უარყოფს და ცხელ გულზე ისიც კი თქვა, თავს თუ არ დამანებებენ, ინგლისიდან წავალო.

## დალია და გაიტანეს

**„ჩვენი** გამარჯვებისა იყოს" — თქვა მოსკოვის „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა იური სიომინმა და არყიანი ჭიქა გამოცალა. ეს ამბავი ამ უქმეებზე „ლოკომოტივი" — „რუბინის" მატჩის შესვენებისას მოხდა. პირველი ტაიმი 1:1 დასრულდა, მეორის დასაწყისში კი სიომინის სადღეგრძელომ გაჭრა და მასპინძლებმა მეორე გაიტანეს.

მოსკოველებმა 2:1 მოიგეს, ხოლო ნამატჩევს გუნდმა რესტორნისკენ გასწია. გამარჯვება ქეიფით აღნიშნეს და სამი კაცის გარდა ყველა სახლში წავიდა. სამნი — სიომინი, დინიარ ბილიალეტდინოვი და დმიტრი სიჩოვი — „დამატებით დროში გადავიდნენ", ფეხბურთელებმა პრეზიდენტი დაიყოლიეს და ღამის კლუბში გააგრძელეს ჭიქებით თამაში.

## სავიოლას სამი მილიონი

**მოსკოვის** „სპარტაკი" ბარსელონელ ხავიერ სავიოლას არ ეშვება და შეეცდება, ზაფხულში გადაიბიროს. კლუბი არგენტინელ ფორვარდს წელიწადში 3 მილიონ ევროს სთავაზობს. რუსული მედიის ცნობით, „ბაჭია" პასუხს აპრილის ბოლოს იტყვის.

არგენტინელი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება და „სპარტაკს" მის სანაცვლოდ ფულის გადახდა არ მოუწევს. ამიტომაც ჰპირდებიან სამ მილიონ ევროს.

მოსკოველებმა იანვარშიც სცადეს სავიოლას გადაბირება, მაგრამ სამუელ ეტოო იყო ტრავმირებული და არგენტინელი „ბარსას" სჭირდებოდა.

## სანამ დუდუ გაძვირდება

**ცსკა-ს** ბრაზილიელი ნახევარმცველი დუდუ პირეოსის „ოლიმპიაკოსს" უნდა. ამის შესახებ GOAL.COM-ი წერს.

ბერძნული კლუბის პრეზიდენტი სოკრატის კოკალისი თვის ბოლომდე ეცდება, გამოისყიდოს 24 წლის ფეხბურთელის კონტრაქტი, რაც დაახლოებით 6 მილიონი ევრო დაუჯდება. კოკალისი იმიტომ ჩქარობს, რომ, რაც უფრო მეტჯერ გამოიძახებენ დუდუს ნაკრებში, მით უფრო გაიზრდება მისი ფასი.

ბრაზილიელი და მისი ოჯახი მოსკოვს ვერ შეეგუვნენ და პირეოსში გადასვლაზე უარს არ იტყვიან.

**გაგა ხუციშვილი**

# ფერდინანდი დაიჭირეს და იმდენი იცინა, რომ...



**ლონდონის** „ვესტ ჰემის" მცველ ანტონ ფერდინანდს უსიამოვნო ამბავი შეემთხვა — მისი მანქანა გააჩერა პოლიციამ, რომელმაც გამოარკვია, რომ სწორედ ამ ავტომობილით იყო ჩადენილი რამდენიმე მძიმე დანაშაული.

„პოლიციელებმა ფერდინანდი დააკავეს და ხელები ააწევინეს, ანტონი კი გამუდმებით ეკითხებოდა მათ, ნუთუ ვერ მიცანითო. მოგვიანებით, ის მართლა იცნეს, რამაც სიტუაცია ოდნავ დააშოშმინა" — უთხრა ჟურნალისტებს ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

როგორც გაირკვა, ფერდინანდი თავისი თანაგუნდელის, კარლტონ კოულის მანქანით იყო. კოულს კი, თავის მხრივ, ავტოგაქირავების ოფისიდან ჰყოლია მანქანა გამოყვანილი.

„ეს ყველაფერი რომ გაირკვა, პოლიციელებმაც და ანტონ ფერდინანდმაც ბევრი იცინეს" — განაცხადა „ვესტ ჰემის" პრესსამსახურმა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ეს იყო ჩემი პირველი მანქანა...

**გახსოვთ** რაინერ კალმუნდი?

2002 წელი, საოცარი „ლევერკუზენის" რიხიანი გაჭრა ევროპულ ფეხბურთში, კლაუს ტოპმიოლერი, ახალბედა მიხაელ ბალაკი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი, ბუნდესლიგის ვერცხლი და ასე შემდეგ — ეს ყველაფერი „ფარმაცევტთა" ზემძიმეწონოსანი პრეზიდენტის დამსახურება იყო.

ჰერ რაინერი ახლა ფეხბურთში აღარ არის, თავის ბიზნესს მეთვალყურეობს, თუმცა გერმანელი ჟურნალისტების თქმით, უფეხბურთოდ დიდხანს ვერ გაძლებს...

არ ვიცით, გაძლებს თუ არა კალმუნდი უფეხბურთოდ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ერთ დროს „ლევერკუზენის" შეფს კარგად ახსოვს, რომელი იყო მისი პირველი მანქანა და ნაპერწკლიანი თვალებით ამბობს — ამას არასოდეს დავივიწყებო.

გაბარიტები თავად შეაფასეთ — ფოტოზე სწორედ კალმუნდის პირველი მანქანაა — Renault4.

აღმოაჩინეთ და ისიამოვნეთ დიდი ადამიანების პატარა, მხიარული საიდუმლოებებით...

**ნინო სილაგაძე**



# ძამბროტას ასეთი ძამბროტა არ ენახა

ჯანლუკა ძამბროტამ „ბარსელონასთან“ კონტრაქტი ახლახან გაახანგრძლივა — ექსიუვენტუსელი „კამპ ნოუზე“ 2010 წლის 30 ივნისამდე ითამაშებს. 30 წლის მცველი კატალონიურ გრანდში დარჩენით კმაყოფილია და სურს, ჯილდოთა სიას ჩემპიონთა თასიც შემატოს. „უელვასთან“ შესანიშნავი გოლის გამხერხებელ ძამბროტას „ელ მუნდო დეპორტივო“ ესაუბრა...


AFP

## ჯანლუკას სამი „არასდროს!“

— ასეთი გოლები ადრეც გაგიტანიათ?

— არასდროს. იტალიაში, განსაკუთრებით, „ბარიში“ თამაშისას გოლები კი გამქონდა, მაგრამ მსგავსი სილამაზის არ მახსოვს.

— ესპანეთში შემტევ ძამბროტას ძალიან იშვიათად ვხედავთ. ანუ ფიქრობთ, რომ „ბარსასნაირ“ მოიერიშე ტიპის გუნდში ვილაცამ დაცვის საქმე თავის თავზე უნდა აიღოს?

— მუნდიალზეც მხოლოდ ერთი გოლი შევაგდე — უკრაინასთან მატჩში. „ბარსელონაში“ მთელი ფლანგი მაბარია. დაცვა და ამასთანავე იერიშებში დროულად ჩართვა ძნელია, თუმცა ძლიერი მაშინ ხარ, როცა ორივე საქმეს თავს კარგად გაართმევ.

— ბავშვობაში „ბარსელონას“ ფანი იყავით და ახლა უკვე „კამპ ნოუზე“ თამაშობთ. გამოდის, ოცნება აისრულეთ...

— როცა პატარა ვიყავი, ეს გუნდი ძალიან მომწონდა. მიყვარდა „ბარსას“ ფერები, მაისურა, თუმცა ერთი რომელიმე ფეხბურთელის ფანი არ ვყოფილვარ. აღტაცებული ვიყავი „დრიმ თიმის“ მოთამაშეებით — სტოიჩკოვით, კუმანით, სუბისარეტათი, ლაუდრუპით... ის მართლაც ბრწყინვალე გუნდი იყო.

— ოცი წლის შემდეგ კი „ბარსას“ ფეხბურთელი თავად გახდით და გულშემატკივართა სიყვარულიც დაიმსახურეთ — „სარაგოსასთან“ სათასო მატჩში მთელი სტადიონი თქვენს სახელს გაჰყვიროდა. მსგავსი რამ ტურინში თუ მომხდარა?

— არასდროს. „დელე ალპიზე“ „ძამბროტა“ ასე ერთსულოვნად არ უყვირიათ. აქაურ ინჩასთა სიყვარულის გამოხატვამ ემოციები მომიმატა.

— „ბარსელონაში“ გატარებულ საწყის პერიოდს როგორ შეაფასებდით?

— ათბალიანი შეფასებით საკუთარ თავს 7,0-ს ან 8,0-ს დავუწერდი. ახლა გაცილებით უკეთ ვთამაშობ. ალბათ ეს გასაკვირი არც უნდა იყოს — იტალიის ჩემპიონატიდან წამოსულს ადაპტაციის პერიოდი ხომ უნდა გამევლო. ახალ გუნდსაც უნდა მიეჩვიო, მოედანსაც და გარემოსაც — სხვანაირად წარმატებას ვერ მიაღწევ.

— თქვენ მსოფლიოს ჩემპიონი ხართ. „ლივერპულთან“ მნიშვნელოვან მატჩში კი ფრანკ რაიკარდმა სათადარიგოებში დაგსვათ...

— მერე რა მოხდა?! ფეხბურთი ფეხბურთია, დღეს არ ითამაშებ, ხვალ ითამაშებ. ეს ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული, გადაწყვეტილებას რაიკარდი იღებს — „ბარსელონას“ 23 მნიშვნელოვანი მოთამაშე ჰყავს. მთავარია, ერთმანეთს დავეხმაროთ და კოპა დელ რეი და პრიმერას ჩემპიონობა მოვიგოთ.

— ჩემპიონატების მოგებას იტალიაშიც მიეჩვიეთ, თუმცა სათასო გამარჯვებები გაკლიათ...

— არა უშავს. იმედია, ესპანეთში ბევრ ჯილდოს მოვიგებ.

— ანუ „ბარსადან“ წასვლაზე არ ფიქრობთ...

— არავითარ შემთხვევაში! ჩემთვის ესპანური პრიმერა ახალი გამოწვევაა, საინტერესო თავგადასავალია... სიძნელეებისას უკან არასდროს დამიხევია და ამას არც არასდროს გავაკეთებ.

— „იუვეს“ და „მილანს“ აღარ უნდათ ძამბროტას ისევ სერია A-ში დაბრუნება?

— არ ვიცი, „იუვენტუსს“ და „მილანს“ რა სურთ, მე კი „ბარსაში“ დარჩენა და ყველა ჯილდოს მოგება მინდა. კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გავაფორმე — მარტო ერთი წლით რომ დავრჩენილიყავი „კამპ ნოუზე“, ეს კარგი საქციელი არ იქნებოდა. შესანიშნავია, თუ „ბარსაში“ ჩემპიონთა თასის მოგებასაც შევძლებ.

— რას იტყოდით, გუნდში თქვენს პოზიციაზე ახალი ფეხბურთელი რომ მოიყვანონ, მაგალითად, დანი ალვეში?

— ალვეში შესანიშნავი ფეხბურთელია — მან ეს „სევილიაშიც“ დაამტკიცა. მოვიდეს, ცუდი არაფერი მოხდება, უბრალოდ, უფრო გავძლიერდებით.

— ფრანკ რაიკარდმა და „ბარსას“ სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა რა გითხრეს — კატალონიაში მარჯვენაფლანგელი იქნებოდით, თუ მარცხნივ ითამაშებდით?

— მსგავსი რამ ჩემთვის არ უთქვამთ. სულ ერთია, სად ვითამაშებ — ორივე ფლანგზე ბურთაობის გამოცდილება მაქვს.

— „ბარიშიც“ მარჯვენა ფლანგზე თამაშობდით?

— დიახ. თუმცა იქ მცველი არ ვიყავი.

— რაიკარდს ახსნა-განმარტება არ სთხოვეთ, როცა მარცხნივ დაგაყენათ?

— არა, რადგანაც მარჩელო ლიპის „იუვენტუსში“ თამაში მარცხენა მცველის პოზიციაზე დავიწყე. ფაბიო კაპელოსთანაც და მსოფლიოს ჩემპიონატზეც უკვე მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობდი. ცაცია არ ვარ, მაგრამ მარცხენა ფლანგი ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

— რონალდინიოს წინაამდეგ წამოწყებულმა კამპანიამ არ გაგაკვირვათ?

— რა თქმა უნდა. რონი არც ზედმეტად მსუქანია და პრიმერაშიც 17 გოლი შეაგდო. არ მესმის, მისგან რა უნდათ...

## სევილია — ბეტისის ცარიელი 33

ესპანეთის თასის მატჩი „სევილიასა“ და „ბეტისს“ შორის დღეს გადათამაშდება — უფრო ზუსტად, გუნდები დარჩენილ 33 წუთს ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ სევილიური დერბი სევილიელთა მთავარ მწვრთნელ ხუანდე რამოსისთვის კინაღამ ტრაგიკული გამოდგა — მას ტრიბუნიდან ვაი-ქომაგის ნასროლი ბოთლი თავში მოხვდა და კინაღამ წრილი წაიღო...

იმ დროისთვის „სევილია“ 1:0 იგებდა...

დარჩენილ 33 წუთს გუნდები „ხეტაფეს“ სტადიონზე ცარიელი ტრიბუნების წინ ითამაშებენ.

**ქახა ზალამბერიძე**

## ზიდანი: უარი ყა...

ზინედინ ზიდანმა იუარა ყატარულ... ლიც ფრანგს 6 მილიონ ევროს სთავაზობდა, — ... ნურმა „ასმა“ გაავრცელა.

შეგახსენებთ, რომ ზიზუმ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მხოლოდ ერთხელ, სინგაპურში გამართულ საქველმოქმედო მატჩში გააგორა ბურთი. ერთი კვირის წინ კი იმ ევროპის სიმბოლურ ნაკრებში თამაშზე განაცხადა უარი, რომელიც „ოლდ ტრაფორდზე“ „მანჩესტერს“ შეხვდა.

ეროსიმბოლურში იყო იტალიელი მცველი მარკო მატერაცციც და უეფა მათ შერიგებას ცდილობდა, თუმც ფრანგმა მანჩესტერში ჩასვლა არ ისურვა. უცნობია, რომელი ყატარული კლუბი ეპატიჟებოდა ზიდანს.

## მანჩესტერი ბერბატოვს ჩაუსაფრდა

**ბრიტანული** პრესის ცნობით, თუკი დიმიტარ ბერბატოვი და „ტოტენჰემი“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვერ მორიგდებიან, ბულგარელი ფორვარდის გადასაბირებლად „მანჩესტერი“ იბრძოლებს. ბერბატოვი ამჟამად კლუბს ახალ პირობებზე ევაჭრება და ჯამაგირის გაორმაგებას ითხოვს. მისი ხელფასი კვირაში 22 ათასი გირვანქაა. „ტოტენჰემს“ არ უნდა 26 წლის მეგოლის გაშვება, რომელიც შარშან 11 მილიონ გირვანქად შეიძინა, მაგრამ თუ ვინმე 40 მილიონს გადაიხდის, ევებ შეელიოს კიდეც.

ბულგარელის თქმით, „მანჩესტერი“ მისით შარშანაც იყო დაინტერესებული, სანამ „ტოტენჰემში“ გადავიდოდა, მაგრამ საქმე ლაპარაკს არ გასცილებია.

ფორვარდს თვალი დაადგა „ლივერპულმაც“ და „მამლებს“ პიტერ კრაუჩში გაცვლას სთავაზობს.

## რონალდუ აპრილიდან გამდიდრდება

**კრიშტიანუ რონალდუ** ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს რომ გააფორმებს, რაც ალბათ ამ კვირაში მოხდება, 28 მილიონი გირვანქით გამდიდრდება. „სანის“ ცნობით, იგი კვირაში 110 ათასს უკვე აპრილიდან მიიღებს.

როგორც ამბობენ, პორტუგალიელმა დარჩენა ალექს ფერგიუსონთან საუბრის შემდეგ გადაწყვიტა.

## ამონაწერი ბარსელონას სიიდან

**„დიარიოსპორტის“** ვარაუდით, დიეგო ფორლანი და დავიდ ტრეზეგე, შესაძლოა, „ბარსელონაში“ აღმოჩნდნენ. სამუელ ეტოოს ტრავმისას გამოჩნდა, რომ კატალონიურ კლუბს შეტევაში გაუჭირდა, ამიტომ ფორვარდების დამატებას აპირებს.

ხსენებული ორი ფეხბურთელის გარდა, „ბარსას“ სიაში არიან ერნან კრესპო, მიროსლავ კლოზე, პედრო პაულეტა და როდრიგო პალასიო. კატალონიურ გრანდს თვალი პეტერ ლუქსენზეც უჭირავს, რომელსაც მადრიდის „ატლეტიკოში“ კარგი სეზონი აქვს.

## ხუანის უარი და თანხმობა

**„მარკას“** ცნობით, „ვალენსიამ“ წინასწარი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა მადრიდის „რეალის“ ფორვარდ ხუან მატასთან. იგი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულია, სამეფო კლუბთან ხელშეკრულების ვადა ივნისში ეწურება და სამჯერ იუარა გახანგრძლივება.

მატას გადაბირებას „ბარსელონა“, „ჩელსი“ და „ლივერპულიც“ ცდილობდნენ.

## რონალდინიო ნიცაში ყოფილა

**ტურინის** „იუვენტუსმა“ ახალი რონალდინიო იპოვა — წერს „ტუტოსპორტი“. ეს გახლავთ ფრანგული „ნიცას“ ნახევარმცველი ედერსონი.

21 წლის ბრაზილიელს კონტრაქტი 2010-ში უმთავრდება. მისი ფასი დაახლოებით 5 მილიონი ევროა. ედერსონს „ბარსა“ და „რეალიც“ უთვალთვალებენ.

## დეკუს სამკვირიანი ხელი

**„ბარსელონას“** პორტუგალიელ ნახევარმცველ დეკუს გუშინ მარჯვენა ხელზე ოპერაცია გაუკეთეს. იგი „უელვასთან“ მატჩის მეორე ტაიმში დაშავდა და შეცვალეს.

დეკუ დაახლოებით სამი კვირა დააკლდება „ბარსას“ და ვერ დაეხმარება ნაკრებსაც, რომელიც 24 და 28 მარტს ევრო 2008-ის შესარჩევში ბელგიას და სერბეთს ხვდება.

## დეშანის შეტევა დომენეკზე

**„იუვენტუსის“** მწვრთნელი დიდიე დეშანი უკმაყოფილოა იმით, რომ რაიმონ დომენეკმა საფრანგეთის ნაკრებში დავიდ ტრეზეგეს არ უხმო.

„გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში ფრანგმა განაცხადა: „დავიდი ძალიან ნაწყენია. იმიტომ კი არა, რომ ნაკრებს მიღმა დატოვეს, არამედ დომენეკის ახსნა-განმარტების გამო. მან თქვა, სერია B-ს ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში რა უნდაო. მისი ლოგიკით, ჯანლუიჯი ბუფონი იტალიის ნაკრებში არ უნდა იყოს, ვალერი ბოჟინოვი კი — ბულგარეთისაში“.

**მაშა ხუციშვილი**

# სარბიელი და კრონი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 1 | ჩესტერფილდი-დონკასტერი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 2 | ბორნმუთი-ტრანმერი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 19:00 | 3 | ბრედფორდი-ბლეკპული | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 4 | ბრაიტონი-ჰადერსფილდი | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 19:00 | 5 | კარლაილი-ჯილინგემი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 19:00 | 6 | ქრუ-როტერჰემი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 7 | დონკასტერი-ბრისტოლი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 8 | ლეიტონი-სკანთორპი | 2.75 | 3.10 | 2.30 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| 19:00 | 9 | ნოტინგემი-ჩელტენჰემი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 10 | პორტ ვეილი-მილუოლი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 11 | სუონსი-ნორთჰემპტონი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 19:00 | 12 | იოვილი-ჩესტერფილდი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 13 | ბრენტფორდი-ოლდემი | 2.95 | 3.20 | 2.10 | 1.53 | 1.22 | 1.26 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 14 | ბარნეტი-შრუსბერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 23:45 | 432 | როვერსი-სტოკპორტი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 15 | მენსფილდი-მაკლსფილდი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 23:45 | 16 | უიკომბი-ბოსტონი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 17 | აკრინგტონი-ჰერეფორდი | 2.35 | 3.10 | 2.70 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 18 | როვერსი-რექსემი | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 19:00 | 19 | ბერი-ნოტსი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 19:00 | 20 | ჩესტერი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 21 | გრიმსბი-პიტერბორო | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 22 | შრუსბერი-ტორკი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 23 | სტოკპორტი-როჩდეილი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| | | 25 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 24 | დარლინგტონი-ჰარტლპული | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 17:30 | 25 | ლინკოლნი-სუინდონი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 20:00 | 26 | დონსი-უოლსოლი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 27 | ალტრინჰემი-გრეისი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 28 | მორკემბი-ალდერშოტი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 23:45 | 29 | ნორთვიჩი-ოქსფორდი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 23:45 | 31 | დაგ ენდ რედ-სტივენეიჯი | 1.65 | 3.40 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| 23:45 | 434 | ტემუორთი-კიდერმინსტერი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 435 | ვეიმუთი-უოკინგი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 30 | ჰალიფაქსი-ოქსფორდი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 46 | ალბიონი-სტენჰაუზმუირი | 2.55 | 3.50 | 2.25 | 1.47 | 1.19 | 1.36 |
| 23:45 | 47 | ისტ სტირლინგი-ბერვიკი | 7.00 | 4.90 | 1.30 | 2.88 | 1.09 | 1.02 |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 436 | ისტ ფაიფი-დამბარტონი | 1.90 | 3.50 | 3.40 | 1.23 | 1.21 | 1.72 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ავსტრია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 69 | ავსტრია(ლ)-პარტბერგი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 22:00 | 70 | ავსტრია(მ)-კაპფენბერგი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 22:00 | 71 | გრატკორნი-ლუსტენაუ | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 22:00 | 72 | ლინცერი-შვანენშტადტი | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 22:00 | 73 | ლეობენი-კერნტენი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 22:00 | 74 | პარნდორფი-ადმირა | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 142 | ბრაგა-ნავალი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | ე.წ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 177 | ხორვატია-მაკედონია | 1.32 | 4.50 | 9.00 | 1.02 | 1.15 | 3.00 |
| 22:00 | 178 | კვიპროსი-სლოვაკეთი | 4.30 | 3.30 | 1.80 | 1.86 | 1.26 | 1.16 |
| 23:45 | 179 | ჩეხეთი-გერმანია | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 23:30 | 180 | საბერძნეთი-თურქეთი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 17:00 | 181 | ყაზახეთი-სერბეთი | 11.00 | 5.00 | 1.25 | 3.43 | 1.12 | 1.00 |
| 23:15 | 182 | ლიხტენშტაინი-ჩრდ. ირლანდია | 10.00 | 4.70 | 1.27 | 3.19 | 1.12 | 1.00 |
| 21:00 | 183 | მოლდოვა-მალტა | 1.50 | 3.70 | 6.70 | 1.06 | 1.22 | 2.38 |
| 21:00 | 184 | პოლონეთი-აზერბაიჯანი | 1.08 | 7.50 | 25.00 | 1.00 | 1.03 | 5.76 |
| 23:45 | 185 | ესპანეთი-დანია | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| 19:00 | 186 | ფარერები-უკრაინა | 28.00 | 8.50 | 1.05 | 6.52 | 1.01 | 1.00 |
| 19:00 | 187 | ირლანდია-უელსი | 1.65 | 3.50 | 5.20 | 1.12 | 1.25 | 2.09 |
| 20:00 | 188 | ლუქსემბურგი-ბელარუსი | 8.50 | 4.00 | 1.38 | 2.72 | 1.18 | 1.02 |
| 21:00 | 189 | ლიტვა-საფრანგეთი | 8.00 | 4.20 | 1.37 | 2.75 | 1.16 | 1.03 |
| 22:30 | 190 | ესტონეთი-რუსეთი | 5.30 | 3.40 | 1.65 | 2.07 | 1.25 | 1.11 |
| 22:30 | 191 | ისრაელი-ინგლისი | 4.60 | 3.30 | 1.75 | 1.92 | 1.26 | 1.14 |
| 23:05 | 192 | ნორვეგია-ბოსნია | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 23:15 | 193 | ალბანეთი-სლოვენია | 2.80 | 3.20 | 2.45 | 1.49 | 1.30 | 1.38 |
| 23:30 | 194 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.55 | 3.60 | 5.70 | 1.08 | 1.21 | 2.20 |
| 23:45 | 195 | პორტუგალია-ბელგია | 1.43 | 3.90 | 7.50 | 1.04 | 1.20 | 2.56 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 207 | კარაკასი-კოლო კოლო | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 208 | სერო პ-კუკუტა | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 23:45 | 438 | რეალ პ-მარკაიბო | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 209 | ბანფილდი-ამერიკა | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 210 | ნეკაზა-სან პაულუ | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 23:45 | 439 | ფლამენგო-პარანა | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 211 | ხიმნასია ლპ-სანტოსი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 23:45 | 212 | ბოკა ხუნიორსი-ტოლუკა | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 23:45 | 213 | ემელეკი-ნასიონალი მ | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 440 | ლიბერტადი-ელ ნასიონალი | 1.30 | 4.40 | 8.20 | 1.00 | 1.12 | 2.86 |
| | | ჰოკეი.NHL | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 266 | კოლამბუსი-ჩიკაგო | 2.10 | 4.00 | 2.40 | 1.37 | 1.12 | 1.50 |
| 23:45 | 267 | მონრეალი-ბოსტონი | 1.80 | 4.00 | 3.10 | 1.24 | 1.13 | 1.74 |
| 23:45 | 268 | ფილადელფია-ფლორიდა | 2.20 | 4.00 | 2.20 | 1.41 | 1.10 | 1.41 |
| 23:45 | 269 | ტამპა ბეი-აილენდერსი | 2.00 | 4.00 | 2.50 | 1.33 | 1.11 | 1.53 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 270 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | 2.20 | 4.00 | 2.20 | 1.41 | 1.10 | 1.41 |
| 23:45 | 271 | მინესოტა-ფენიქსი | 1.60 | 4.10 | 3.00 | 1.15 | 1.04 | 1.73 |
| 23:45 | 272 | სტ.ლუისი-ოტავა | 2.50 | 4.00 | 2.00 | 1.53 | 1.11 | 1.33 |
| 23:45 | 273 | კალგარი-დეტროიტი | 2.40 | 4.00 | 2.15 | 1.50 | 1.13 | 1.39 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 20:30 | 451 | იოკერიტი-ილვესი | 1.40 | 4.40 | 4.30 | 1.06 | 1.05 | 2.17 |
| 20:30 | 452 | ტაპარა-ესპოო | 1.95 | 4.00 | 2.60 | 1.31 | 1.11 | 1.57 |
| 20:30 | 453 | კერპეტი-პელიკანსი | 1.27 | 4.60 | 6.00 | 1.00 | 1.04 | 2.60 |
| 20:30 | 454 | ჰამეენლინა-ჰელსინკი | 1.75 | 4.10 | 3.10 | 1.22 | 1.11 | 1.76 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 445 | ლიბერეცი-სპარტა | 2.10 | 4.00 | 2.40 | 1.37 | 1.12 | 1.50 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 312 | სლოვანი-ზვოლენი | 1.70 | 4.20 | 3.10 | 1.21 | 1.09 | 1.78 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 446 | ნიურნბერგი-ჰანოვერი | 1.90 | 4.00 | 2.50 | 1.28 | 1.07 | 1.53 |
| 22:30 | 447 | მანჰაიმი-ფრანკფურტი | 1.55 | 4.20 | 3.30 | 1.13 | 1.05 | 1.84 |
| 22:30 | 448 | ინგოლშტადტი-კიოლნი | 2.20 | 4.00 | 2.20 | 1.41 | 1.10 | 1.41 |
| 22:30 | 449 | დიუსელდორფი-ჰამბურგი | 1.65 | 4.10 | 3.00 | 1.17 | 1.06 | 1.73 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 455 | კლოტენი-დავოსი | 2.15 | 4.10 | 2.30 | 1.41 | 1.11 | 1.47 |
| 22:45 | 456 | ცუგი-ბერნი | 2.35 | 4.10 | 2.15 | 1.49 | 1.12 | 1.41 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 16:30 | 441 | ავანგარდი-ლოკომოტივი | 1.35 | 4.50 | 4.00 | 1.03 | 1.00 | 2.11 |
| 18:00 | 442 | მაგნიტოგორსკი-სიბირი | 1.15 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.72 |
| 18:00 | 443 | ს იულაევი-ცსკა | 1.40 | 4.50 | 4.10 | 1.06 | 1.04 | 2.14 |
| 20:00 | 444 | აკ ბარსი-ხიმიკი | 1.12 | 5.50 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.86 |
| | | კალათბურთი. NBA. 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 352 | შარლოტი-კლივლენდი | 2.30 | 12.00 | 1.50 | 1.93 | 1.00 | 1.33 |
| 23:45 | 353 | ნიუ ჯერსი-დენვერი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 23:45 | 355 | ნიუ ორლეანი-დალასი | 2.50 | 12.00 | 1.35 | 2.06 | 1.00 | 1.21 |
| 23:45 | 356 | მემფისი-ნიუ ორლეანი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 23:45 | 357 | ჩიკაგო-კლიპერსი | 1.35 | 12.00 | 2.80 | 1.21 | 1.00 | 2.27 |
| 23:45 | 358 | იუტა-გოლდენ სტეიტი | 1.35 | 12.00 | 3.00 | 1.21 | 1.00 | 2.40 |
| 23:45 | 359 | ჰიუსტონი-ინდიანა | 1.25 | 12.00 | 3.10 | 1.13 | 1.00 | 2.46 |
| 23:45 | 360 | ფენიქსი-მინესოტა | 1.15 | 12.00 | 4.50 | 1.04 | 1.00 | 3.27 |
| 23:45 | 361 | პორტლენდი-ვაშინგტონი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა. 21 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 419 | ბარსელონა-პანათინაიკოსი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 22:45 | 420 | არისი-უნიკახა | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 22:45 | 421 | პროკომი-ეფესი | 1.90 | 12.00 | 1.70 | 1.64 | 1.00 | 1.48 |
| 22:45 | 422 | დინამო-ბენეტონი | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 423 | პარტიზანი-ცსკა | 2.50 | 12.00 | 1.45 | 2.06 | 1.00 | 1.29 |
| 23:15 | 424 | მაკაბი-რომა | 1.20 | 12.00 | 3.40 | 1.09 | 1.00 | 2.64 |
| 23:15 | 425 | ტაუ-ორტეზი | 1.10 | 12.00 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 3.52 |
| 23:15 | 426 | ოლიმპიაკოსი-ხუვენტუდი | 1.20 | 12.00 | 3.80 | 1.09 | 1.00 | 2.88 |

ჭიდაობა

# რიგიანი რიგული

## თავისუფლებმა თავისუფლად



ნუგზარ სხირელი

**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა რიგის საერთაშორისო ტურნირი გუნდური ჩემპიონობით მოიგია. საქართველოს ჩემპიონებით და ორი პრიზიორით დაკომპლექტებულმა ნუგზარ სხირელის გუნდმა ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპად მიჩნეულ ლატვიურ . პირველობაზე რვა მედალი მოიპოვა. ქართველები 50 კილოგრამი წონითი კატეგორიის გარდა ყველა წონის კვარცხლბეკზე ავიდნენ.

სხირელის ათეულიდან ფინალს ოთხმა უწია. მურთაზ კვესაძემ (55 კგ), ბექა ჭელიძემ (84 კგ) და გიორგი ნიკურაძემ (120 კგ) იქაც იყოჩაღეს და ოქროს მედლები მოიგრეს, ხოლო გიორგი ჩიქოვანმა (96 კგ) გადამწყვეტი ბრძოლა წააგო. გიორგი ედიშერაშვილი (55 კგ), გიორგი მაყიშვილი (60 კგ), ნიკო რეხვიაშვილი (66 კგ) და გოჩა ლომთათიძე (74 კგ) მესამე ადგილზე გავიდნენ. უმედლოდ კი მხოლოდ დავით ბერძნიშვილი (50 კგ) და ზაურ აბრამიშვილი (66 კგ) დარჩნენ.

ახალგაზრდული ნაკრები თბილისში დღეს საღამოს ბრუნდება.

**ოთარ გალლაძელიძე**

სუმო

# მიდი, მიაწექი!

## იქნებ ბაშო შავ ზღვაში ჩაიძიროს?

**სეზონის** მეორე დიდი ოსაკური ბაშოს დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე კოკაი კვლავ იმპერატორის თასის კანდიდატთა შორისაა. ლევან ცაგურიამ გუშინ 35 წლის ექსსეკივაკე ტამაკასუგას მძიმე ბრძოლაში საფირმო ცუპარებით სძლია, მეშვიდე ქულა მიითვალა და რვაქულიანი ლიდერის ზურგსუკან მდგომთა ჯგუფში შეინარჩუნა ადგილი. დღეს კოკაი კაკიძოეს დაეჭიდება და თუ აჯობა, საბოლოო დადებით ბალანსს, კატიკოსს, ნაადრევად გაინაღდებს.

მეცხრე ტურის მთავარი რკენა კი ტოჩიაძუმასა და ხაკუხოს დაპირისპირება იყო. გუშინდლამდე ეს ორი ოძეკი შვიდ-შვიდი ქულით და ცხრილის პირველკაცობით იწონებდა თავს. ერთმანეთთან შეხვედრის შემდეგ გახარებული 22 წლის ხაკუხო დარჩა, ხოლო 30 წლის ტოჩიაძუმამ ჩვენებურის ჯგუფში ჩაინაცვლა. იქვე არიან იოკოძუნა ასასიორუ, სეკივაკე კოტომიცუკი და რიგითი მაეგაშირები — ხომასიო და ტოჩიოძანი.



ხაკუხოს ორი ქულით ჩამორჩება 203-სანტიმეტრიანი „ბალკანელი გულივერი“ კოტოოსიუ, რომელმაც მეცხრე ტურში ვეტერანი ოძეკი კაიო წააქცია. დღეს ეს უკანასკნელი ერთქულიანი მანუსბალანსის განულებას ხაკუხოსთან შეეცდება.

**ოთარ გალლაძელიძე**

## ყველა ვარსკვლავის მატჩი 28 აპრილი. თბილისი. სპორტის სასახლე

# დემოკრატია ჩვენს კალათბურთში



ნიკა ხომასურიძე, ზურაბ თალაკვაძე და მერაბ რატიშვილი

**28 აპრილს** სუპერლიგის ოლ სტარი გაიმართება და ის მის ყველა წინამორბედზე განსხვავებული და სანახაობრივი იქნება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ყველა ვარსკვლავის მატჩის მონაწილეთა შერჩევა ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

გუშინდლიდან დაიწყო ფუნქციონირება სუპერლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა — **www.superleague.ge** — სადაც წარმოებს ოლ სტარის კანდიდატთა შერჩევა. ხმის მიცემა 17 აპრილამდე გაგრძელდება.

საოლსტარო ამბებზე უფრო დაწვრილებით კაფე „მსოფლიო სპორტში" გამართულ პრესკონფერენციაზე კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *მერაბ რატიშვილმა* ისაუბრა:

— ეს არის ფედერაციის მიერ ორგანიზებული მე-4 ოლ სტარი და მთავარი ნოვაცია ისაა, რომ მონაწილეთა შერჩევა ყველა გულშემატკივარს შეეძლება, რომელიც შევა სუპერლიგის საიტზე და ხმას მისცემს სასურველ კანდიდატებს. მთავარი პირობა ასეთია — 24 საათის განმავლობაში ხმის მხოლოდ ერთხელ მიცემაა შესაძლებელი.

— ხმის მიმცემი ირჩევს სასურველ ხუთეულს და ერთიანად აძლევს მას ხმას. შესაბამისად, გამოკითხვის შედეგად შეირჩევა მოწინააღმდეგე გუნდების ხუთეულები, ხოლო დანარჩენ 7-7 მოთამაშეს უშუალოდ მწვრთნელები დაასახელებენ.

— მწვრთნელები იქნებიან რეგულარულ ჩემპიონატში პირველ-მეორე ადგილებზე მყოფი გუნდების თავკაცები — „აზოტიდან" დავით უსტიაშვილი და „ავიამშენიდან" ლევან მოსეშვილი. როცა ხუთეულებს გულშემატკივარი შეარჩევს, მწვრთნელებს თავიანთი გუნდიდან 3 მოთამაშეზე მეტის არჩევა არ შეეძლებათ.

— ტრადიციულ ჩატენვებისა და სამქულიანების კონკურსებთან ერთად გაიმართება შეჯიბრი წინაღობების დაძლევაში. ეს იქნება ყველაზე სხარტი და ზუსტი გამთამაშებლის გამოსავლენი კონკურსი.

### კანდიდატების სრული სია

**დავით უსტიაშვილის გუნდი (აზოტი, დინამო, მაკაბი)**

**უკანა ხაზი:** ლაშა გამყრელიძე (აზოტი), კოტე ტულუში (აზოტი), რამაზ გოგობერიშვილი (აზოტი), ზურაბ ბადრიძე (დინამო), გიორგი გულისაბედაშვილი (დინამო), ლექსო ლაფანაშვილი (დინამო), გიორგი დოლიძე (მაკაბი)

**ფორვარდები:** ანატოლი ბოისა (აზოტი), გიორგი მარკოიშვილი (აზოტი), ვლადიმერ ბეჟანიშვილი (აზოტი), ჟოლივეტ ტუჯანი (აზოტი), ლაშა კეშელავა (დინამო), დავით გვიმრაძე (დინამო), რევაზ დიდია (აზოტი)

**ცენტრები:** დავით უგრეხელიძე (აზოტი), გიორგი შერმადინი (მაკაბი), ვიქტორ კოლუაშვილი (დინამო)

**ლევან მოსეშვილის გუნდი (თბილავიამშენი, თსუ, სტუ):**

**უკანა ხაზი:** ირაკლი ბერიშვილი (თბილავიამშენი), დავით ბერიშვილი (თბილავიამშენი), ირაკლი ხოშტარია (თბილავიამშენი), გიორგი ნიკოლაძე (თბილავიამშენი), ბესიკ ლეჟავა (თსუ), ბუბა ბერიშვილი (თსუ), ნოდარ ბერაია (სტუ)

**ფორვარდები:** შიო ხეცურიანი (თსუ), ზვიად ბაბიაშვილი (თბილავიამშენი), მიხეილ ბერიშვილი (თსუ), ლუკა შანიძე (თსუ), ირაკლი კეიდია (თბილავიამშენი), დავით იმნაძე (თსუ), გიგი ბარბაქაძე (სტუ)

**ცენტრები:** პლასიდე როდუმტა (თბილავიამშენი), რიჩარდ მათიაშვილი (თსუ), ლუკა ნოზაძე (სტუ)

### კონკურსები

**ჩატენვები:** მიხეილ ფანჩულიძე (თსუ), ჟულივეტ ტუჯანი (აზოტი), ანატოლი ბოისა (აზოტი), გიგი ბარბაქაძე (სტუ).

**სამქულიანები:** დავით ბერიშვილი (თბილავიამშენი), გიორგი მარკოიშვილი (აზოტი), ნოდარ ბერაია (სტუ), ზურაბ კორკოტაძე (მაკაბი), კოტე ტულუში (აზოტი).

**წინაღობების დაძლევა:** დავით არნივიძე (თსუ), ლაშა გამყრელიძე (აზოტი), გიორგი ნიკოლაძე (თბილავიამშენი), ირაკლი ბერიშვილი (თბილავიამშენი)

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




# ბრაიანტი კურორტზეა, თავისუფლად სუნთქავს

18 მარტი

**ლეიკერსი 109:102 მინესოტა**
ლეიკერსი: ბრაიანტი (50), პარკერი (19 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ოდომი (16 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), უოლტონი (10 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა)
მინესოტა: დევისი (33), გარნეტი (26 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), ჯეიმსი (18 ქულა, 11 პასი)

**დეტროიტი 88:92 დალასი**
დეტროიტი: მიური (18), მაკდაიესი (17), ვოლესი (13), ჰამილტონი (13)
დალასი: ნოვიცკი (28 ქულა, 12 მოხსნა), ჰარისი (22)

**მაიამი 83:97 ორლანდო**
მაიამი: ონილი (20)
ორლანდო: თურქოღლუ (20), ჰოვარდი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**ფილადელფია 74:124 ჰიუსტონი**
ფილადელფია: კორვერი (17)
ჰიუსტონი: მინი (24 ქულა, 10 მოხსნა), მაკგრეიდი (21)

**ნიუ იორკი 92:74 ტორონტო**
ნიუ იორკი: მარბერი (21), ფრაი (20), ბალკმენი (15 ქულა, 12 მოხსნა)
ტორონტო: ბოში (21), ფორდი (14)

**ნიუ ჯერსი 101:95 კლიპერსი**
ნიუ ჯერსი: კიდი (23 ქულა, 13 პასი), კარტერი (22), ჯეფერსონი (18 ქულა, 12 მოხსნა)
კლიპერსი: მობლი (27), მაგეტი (23), ბრენდი (17)

**პორტლენდი 77:95 სიეტლი**
პორტლენდი: რენდოლფი (16), როი (14)
სიეტლი: ლუისი (27 ქულა, 12 მოხსნა), უოლკოქსი (26), კოლისონი (16 ქულა, 11 მოხსნა)

„პორტლენდთან" 65-ქულიანი მატჩის შემდეგ მხოლოდ ორი დღე იყო გასული, რომ „ლეიკერსის" სუპერვარსკვლავმა კობი ბრაიანტმა „მინესოტას" 50 ქულა აძგერა და ალენ აივერსონისა და ანთაუნ ჯემისონის შემდეგ ბოლო ათ წელიწადში მესამე მოთამაშე გახდა, რომელმაც ზედიზედ ორ მატჩში მოიხვეჭა 50 და მეტი ქულა. ბოლო ლეიკერსელი კი, ვინც ეს გააკეთა, 60-იანების ვარსკვლავი ელჯინ ბეილორი გახლდათ, რომელმაც 1962 წელს ზედიზედ სამჯერაც კი გადალახა ეს გროსმაისტერული ზღვარი.

„ლეიკერსმაც" ამოისუნთქა, მიჯრით შვიდი თამაშის წაგების შემდეგ მეორედ მოიგო, რაც ბრაიანტთან ერთად ორი წამყვანი მოთამაშის — ლუკ უოლტონისა და ლამარ ოდომის დამსახურებაცაა. ესენი კარგა ხანი დაშავებულნი იყვნენ, ახლა კი მოკეთდნენ და ეს მალევე დაეტყო გუნდს. ბრაიანტი ამბობს, რაც ესენი გამოჯანმრთელდნენ, პასები არ მაკლია და უფრო თავისუფლადაც ვსუნთქავო.

**კოტე ყორშია**

## ქართული ლეგიონი

# ცინცაძემ როკი ვერ დაიცვა

**წინა** კვირას ყველაზე მეტი ქულა ესტონურ „როკში" მობურთალმა გიორგი ცინცაძემ ჩააგდო, რომელმაც სეზონი ხმაურიანად კი დაიწყო, მაგრამ მერე ცოტა დაამუხრუჭა.

„როკი" ბალტიის ლიგაზე ლიტვის „ნეპტუნასს" ხვდებოდა, ვინი სამარქაფო ცენტრიც 223-სანტიმეტრიანი სერგო ათუაშვილი გახლავთ და ასე და ამგვარად, ბალტიისპირეთში ეგრეთ წოდებული ქართული დერბი გაიმართა.

ცინცაძე „როკერთაგან" ერთ-ერთი საუკეთესო კი იყო, მაგრამ ამით თავის გუნდს ვერაფერი უშველა. ესტონური კლუბი ბალტიის ლიგის მეორე დივიზიონშია და იქიდან აპირებდა პლეი ოფში გასვლას, თუმც კარგად დაწყებული საქმე ხეირიანად ვერ გააგრძელა და კარგა ხნის ლიდერობის შემდეგ მესამე საფეხურზე დაქვეითდა.

„ქართულ დერბიში" ორივე ჩვენიანმა გამოიჩინა თავი. ათუაშვილს ბევრი არ ჩაუგდია, 5 ქულას დასჯერდა, მაგრამ მისი სათადარიგო სტატუსის გათვალისწინებით ეს არაა ურიგო შედეგი. ათუაშვილი მცირე ხნით გადის ხოლმე მოედანზე და ხეირიანად ხელის გაქნევას ვერ ასწრებს. გასულ კვირაში კი ორივე მატჩში გამოირჩა — „როკამდე" „ნეპტუნასმა" „ატლეტასი" დაამარცხა და ქართველმა გოლიათმა 7 წუთში 6 ქულა მოინაგრა.

ათუაშვილისა და ცინცაძის კვალზე ასევე ახალგაზრდა გიორგი გაფრინდაშვილმაც ხეირიანად ითამაშა, რომელიც რიგის ასკ-ს იუნიორთა კლუბს ლატვიის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. გაფრინდაშვილმა 32 წუთში 9 ქულა, 6 მოხსნა და 5 პასი მიაშველა ასკ-ს, რომელმაც „ფალკო" 78:63 დაამარცხა.

რაც შეეხება ლეგიონერთა შედარებით გამოცდილ ფრთას, მათ გვალვიანი კვირა ჰქონდათ. ვლადიმერ ბოისამ და ვახტანგ ნაცვლიშვილმა 9-9 წუთი ითამაშეს თავთავიანთ გუნდებში, მაგრამ ქულა ვერ მოინაგრეს.

ოლიმპიელ მანუჩარ მარკოიშვილს კი არც ძლიერი მოწინააღმდეგე აშინებს და არც სხვა ფაქტორებს უჩივის — ის ჩვეულად სტაბილურია და „ჟელეზნიკთან" შინ წაგებულ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ოკეანისგაღმიდან უწინდელივით სასიამოვნო ამბები ვეღარ მოდის, მაგრამ ზაზა ფაჩულიას თამაშს მაინც ვერ დავუწუნებთ. „ატლანტამ" 4-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა, თუმც ფაჩულიას თავი არ შეურცხვენია და ჩემპიონატის მიწურულს სტაბილურობას ინარჩუნებს.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ჟელეზნიკი | შ | 59:77 | 39 | 12 | 4 | 3 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | რომა | ს | 82:84 | 9 | 0 | 2 | 0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპიონატი | რეიმსი | შ | 64:68 | 9 | 0 | 3 | 1 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ესპანეთის ჩემპიონატი | ბილბაო | შ | 94:86 | არ უთამაშია | | | |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | კანარია | ს | 67:89 | 14 | 2 | 3 | 1 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ასკ-იუნიორები | ლატვიის უმაღლესი ლიგა | ფალკო | შ | 78:63 | 32 | 9 | 6 | 5 |
| სერგო ათუაშვილი | ნეპტუნასი | ბალტიის თასი | როკი<br>ატლეტასი | შ<br>შ | 104:81<br>86:64 | 6<br>7 | 5<br>6 | 0<br>1 | 0<br>0 |
| გიორგი ცინცაძე | როკი | ბალტიის ლიგა | ნეპტუნასი<br>კალევი | ს<br>შ | 81:104<br>71:77 | 25<br>20 | 17<br>9 | 1<br>3 | 3<br>2 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | პუნტუკასი | შ | 88:76 | 21 | 5 | 7 | 1 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | სერია A | კლიმამიო | შ | 69:80 | 32 | 14 | 2 | 1 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპიონატი | ინდიანა<br>ბოსტონი<br>ფილადელფია | ს<br>ს<br>შ | 90:113<br>88:109<br>104:92 | 25<br>24<br>26 | 16<br>5<br>15 | 7<br>9<br>10 | 0<br>1<br>2 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ნ — ნაჭრი; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

**თენგიზ პაჭკორია**

# რუსუდან გოლეთიანის ბედი და ფიქრი: ამერიკა და საქართველო



რაღა შეხსენება გვინდა, მაგრამ მაინც ვთქვათ, რომ საქართველოს ქალთა საჭადრაკო სკოლა 30 წლის განმავლობაში დომინირებდა მსოფლიოში — ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე ხუთ-ხუთჯერ იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონები, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები ორ-ორჯერ გახდნენ ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი. ასევე დიდ წარმატებებს მიაღწიეს ნინო გურიელმა, ქეთევან არახამიამ და კიდევ რამდენიმე ქართველმა მოჭადრაკემ. 90-იან წლებში და ახალი საუკუნის დასაწყისში საქართველოს საჭადრაკო ნაკრებმა დიდ, სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ოლიმპიადებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, თუმცა, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ქართველ მოჭადრაკე ქალთაგან მსოფლიოს ჩემპიონობა აღარავის მოუპოვებია. ერთი მხრივ, ეს აიხსნება ჩინეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების მოჭადრაკეთა დაწინაურებით, მეორე მხრივ იმით, რომ 90-იანი წლების ეკონომიკური სირთულეების გამო ნიჭიერმა ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკეებმა ვერ შეძლეს ბოლომდე გამოევლინათ თავიანთი შესაძლებლობები. თუმცა რამდენიმე მათგანმა 14, 16 და 18 წლამდე ასაკში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა და დიდებშიც სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ რუსუდან გოლეთიანი. 1990 წელს, 10 წლისა რომ იყო, ორი წლით უფროსებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. იმავე და 1992 წლებში კვლავ 12 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატებში მეორე და მეოთხე ადგილები დაიკავა. 1993-ში 14 წლამდელთა შორის დსთ-ს ჩემპიონობა იზეიმა, ერთი წლის ბრატისლავაში უკვე იმავე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატში გაიმარჯვა. ამას მოჰყვა 16, მერე 18 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატები ბრაზილიასა და სომხეთში. 1999 წელს მეორე იყო 20 წლამდე მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატში. ყველა ამ წარმატებას რუსუდანმა საქართველოს სახელით მიაღწია. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ 2000 წელს ის თითქოს გაქრა საჭადრაკო არენიდან, რამდენიმე წლის შემდეგ კი ბრწყინვალედ დაბრუნდა, როცა აშშ-სა და ამერიკის კონტინენტის ჩემპიონი გახდა. ნიუ-იორკში მცხოვრებ რუსუდან გოლეთიანს ტელეფონით დავუკავშირდით და ვთხოვეთ ჭადრაკში თავისი გზის და სხვა ამბების შესახებაც მოეთხრო

რუსუდან გოლეთიანი: გუშინდელივით მახსოვს ის დღე სოხუმში, როდესაც მამამ ჭადრაკის სწავლა დამაწყებინა. ჩემი პირველი მწვრთნელი ნოდარ გელენავა იყო. მან ბევრი რამ მომცა როგორც დამწყებ მოჭადრაკეს. შემდეგ ჩემი მწვრთნელი სოხუმელი მიხეილ იაილიანი იყო. მისი ხელმძღვანელობით პირველად ვმონაწილეობდი 12-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატში შემდეგ კი ცხოვრებაში ძალიან მძიმე დრო დამიდგა — დედა დამეღუპა...

*აქ დროებით შევწყვეტთ რუსუდანთან საუბარს და მკითხველს ვამცნობთ, რომ 1991 წლის აგვისტოში რუსიკოს დედა, ქალბატონი ალა საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა. მაშინ იგი ფოთში ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირს ესწრებოდა, რომელშიც რუსიკო მონაწილეობდა და შეჯიბრების შემდეგ შინ, სოხუმში ბრუნდებოდა. იმ დღეს რუსიკო ფოთში დარჩა. ტრაგედია ხობის რაიონში დატრიალდა. დედა დაიღუპა, მამა, თენგიზი კი სერიოზულად დაშავდა და ცხოვრების ნორმალურ რიტმს მხოლოდ რამდენიმე თვის მერე დაუბრუნდა.*

*თენგიზ გოლეთიანი იხსენებს, რომ რუსიკო მაშინ შოკში იყო.*

*— შვილო, თავად უნდა გადაწყვიტო, ჭადრაკის თამაშს გააგრძელებ თუ არა, მაგრამ გახსოვდეს, რომ დედა ძალიან ამაყობდა შენი მიღწევებით — უთხრა მამამ შვილს.*

*და 11 წლის რუსიკომ ჭადრაკის თამაში გააგრძელა. მამამ, დამ სოფომ, ახლობლებმა და მწვრთნელმა მიხეილ იაილიანმა რუსიკოს ძალა შემატეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ აფხაზეთის ომმა ყველაფერი არია...*

რუსუდან გოლეთიანი: 1992 წლის ზაფხულში მამამ სოჭში გადამიყვანა, სადაც ჭადრაკის თამაში მწვრთნელების ლიუბარსკების ხელმძღვანელობით განვაგრძე. 1992 წელს გავხდი 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა რუსეთის ჩემპიონი, მომდევნო წელს კი დსთ-ს ჩემპიონი ამავე ასაკში. იმავე წლის ზაფხულში მამასთან ერთად თბილისში გადავედით საცხოვრებლად.

— რუსეთის მოქალაქეობის მიღებასა და რუსეთის სახელით თამაშს არ გთავაზობდნენ?

— ასეთი შემოთავაზებები იყო, მაგრამ მე მამასთან ერთად სოჭიდან თბილისში საცხოვრებლად გადასვლა გადავწყვიტე. თავიდან თვითონ ვმეცადინეობდი, რადგან მწვრთნელის ასაყვანად ფული არ გვქონდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბაგრატ გვენცაძემ ჩემი მწვრთნელობა უანგაროდ იკისრა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით 1994 წელს 14 წლამდე მოჭადრაკეებში მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. შემდეგ ასევე უანგაროდ მავარჯიშებდა არანაკლებ ცნობილი მწვრთნელი ალეკო ბოკუჩავა და ახალ წარმატებებსაც მივაღწიე. გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი 16-წლამდელებს, შემდეგ კი 18-წლამდელებს შორის. მე ბატონ ბაგრატისა და ბატონ ალეკოს მადლიერი ვარ და არასოდეს დამავიწყდება მათი ამაგი და თანადგომა, თუმცა საქართველოში არსებული მაშინდელი რეალობა ბევრ სირთულეებს გვიქმნიდა. ახალი ტურნირებისთვის ვემზადებოდი, მაგრამ მოჭადრაკეებს ტურნირებზე გასამგზავრებლად სახსრები აღარ გვყოფნიდა.

ჩვენს ოჯახს ძალა არ შესწევდა, რომ მატერიალურ სირთულეებს გამკლავებოდა. რამდენიმე ადამიანი მეხმარებოდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ერთ დღესაც გადავწყვიტე, თავად მეშოვა ფული, რათა ჩემ თავსაც დავხმარებოდი და ახლობლებსაც, 2000 წელს, როცა აშშ-ში გამოვედი ტურნირზე, იქ დარჩენა გადავწყვიტე. მაშინ ოცი წლის ვიყავი.

— მაშინ ხმები დადიოდა, თითქოს ამერიკელ მოჭადრაკეზე თხოვდებოდით...

— ასეთი ხმები ჩემამდეც მოვიდა და მეცინება. — სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად იყო. შტატებში ჩემი მეგობრის დედა ცხოვრობს და თავიდან მასთან ვიყავი. იქ ყოფნისა და დამკვიდრების პირველი ორი წელი ძალიან რთული გამოდგა. დიდ ტურნირებში თითქმის არ ვთამაშობდი. ინგლისურს გაძლიერებულად ვსწავლობდი და ადგილობრივ სკოლაში ჭადრაკს ვასწავლიდი. დაძაბული შრომით ვარსებობდი, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ნიუ იორკიდან დიდოსტატმა ჟუჟა პოლგარმა დამირეკა. ის მსოფლიოს ჩემპიონატებიდან მიცნობდა. ჟუჟამ მითხრა, რომ კრებდა ახალგაზრდა მოჭადრაკე ქალთა გუნდს, რომელიც ტურნირებზე კლუბის სახელით გამოვიდოდა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და დავიწყე თამაში. ჩვენ გამოცდილი მწვრთნელები გვყავდა, მათ შორის ცნობილი სპეციალისტი ბორის გულკო. მოკლედ, დიდ ჭადრაკში დავბრუნდი. 2003 წელს ვენესუელაში ამერიკის კონტინენტის ჩემპიონი გავხდი. 2005 წელს — აშშ-ს ჩემპიონი, 2006 წელს აშშ-ს ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადაზე გამოვედი. მეოთხე ადგილი დავიკავეთ, მე მესამე დაფაზე ვიყავი და ჩემს გუნდში ყველაზე მეტი ქულა დავაგროვე.

რაც შეეხება გათხოვებას — ამერიკაში ჩამოსვლიდან სამი წლის შემდეგ ვიქორწინე. ჩემი მეუღლე ქართველია და არა ამერიკელი — მანუჩარ სურგულაძე. იგი 2001 წელს ჩამოვიდა საქართველოდან. ერთმანეთი ნიუ იორკში გავიცანით, ის მოჭადრაკე არ არის.

რაც შეეხება იმას, რომ ამერიკაში ჭადრაკით შეიძლება დიდი ფულის შოვნა, ეს ზღაპარია. სამი წლის წინათ კონკურსში გავიმარჯვე და ორი წლის განმავლობაში სტიპენდიას ვიღებდი, რამაც საშუალება მომცა, ჩემი ფინანსური მდგომარეობა გამეუმჯობესებინა. ბევრს ვმოგზაურობდი და მრავალ ტურნირში ვმონაწილეობდი. ამჟამად ბავშვებს ჭადრაკს ვასწავლი. ჭადრაკში უფრო მეტ წარმატებებზე ვფიქრობ — მე ხომ მხოლოდ 26 წლის ვარ. პირველ რიგში, ვაპირებ კიდევ გავხდე ამერიკის კონტინენტის ჩემპიონი.

— ამბობენ, რომ ნიუ იორკში საჭადრაკო კლუბი დააარსეთ...

— ეს თავისებური საჭადრაკო აკადემიაა, რომელიც მე და ჩემმა კოლეგამ დავაარსეთ. ბავშვებს ვასწავლი და ეს საქმე მომწონს, ამავე დროს მომავალი ტურნირებისთვის ვემზადები.

— დიდი ხანია, საქართველოში არ ჩამოსულხართ. გული უკან არ გიხმობთ? ხომ არ აპირებთ სამშობლოში დაბრუნებას?

— როგორ არ მიხმობს, მაგრამ ჯერ დაბრუნების დღე არ დამდგარა. ისე კი, ხშირი კონტაქტი მაქვს მამასთან და დასთან თბილისში. ნიუ იორკში საქართველოს ამბებს ინტერნეტით ვიგებთ და თვალს ვადევნებთ იმას, რაც მანდ ხდება. 2003 წელს თბილისში ვიყავი, საერთაშორისო ტურნირში ვმონაწილეობდი, 2005 წელს და შარშანაც რამდენიმე დღე ვიყავი. არ ვიცი, კიდევ როდის ჩამოვალ, მაგრამ ფიქრებში მუდამ საქართველოში ვარ.



# მაგარბიჭობა მაგარსაფარზე

## ნადალი ჰარდზეც რაფაელია



**კაცები**
**ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი.**
**საპრიზო 3 285 000 $**

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (12, სერბეთი) 6:2 7:5**

9 თვე და 12 ტურნირი არ ეგემა რაფაელ ნადალს გამარჯვების გემო. „როლან გაროსის" შემდეგ ესპანელს არსად არაფერი მოუგია და ამ პერიოდში როჯერ ფედერერის ერთადერთი სერიოზული მეტოქის სტატუსიდან რიგით ჩოგბურთელობამდე ჩამოქვეითდა. თუმც ინდიან უელსში მალიორკელმა ვარსკვლავბიჭუნამ ისევ მოირგო გამარჯვებულის მანტია და დაამტკიცა, რომ თანამედროვე ჩოგბურთის პირველკაცობას შეიძლება ჯერ ვერც შესწვდეს, მაგრამ მეორეობას არავის დაუთმობს.

ნადალმა მთელი კვირა დიდებულად გაიარა და ამ კალიფორნიულ უდაბნოში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ერთი საფარის კაცი სულაც არ არის და ჰარდზეც დიდებულად შეუძლია თამაში.

ფინალში ესპანელი 19 წლის სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩს გაუსწორდა. ეს ბიჭი პირველი თინეიჯერია 1990 წლის შემდეგ, ვინც ინდიან უელსის მთავარ მატჩში ითამაშა. მაშინ ეს ანდრე აგასიმ მოახერხა. თუმც ჯოკოვიჩს ნადალთან მაინც არანაირი შანსი არ ჰქონია — რაფამ ისევ დამაჯერებლად იჩოგნავა. სერბმა მხოლოდ მეორე სეტში „გაბედა" თანაბრად თამაში, მაგრამ აქ გადამწყვეტ მომენტში ხელი აუკანკალდა და ნადალს ბრეიკი ზედ პარტიის მიწურულს გააკეთებინა.

ასე რომ, ნადალმა მიმდინარე სეზონში უკვე გახსნა გამარჯვებების ანგარიში, ხოლო ესპანელის მასტერსების ფინალებში ნაჩვენები შედეგი უბრალოდ, ფანტასტიკურია — რვა ფინალიდან შვიდში გამარჯვებული გამოვიდა.

**ქახა ლომაშვილი**

# ლადო ჩიხლაძე: +119

**შვეიცარიასა** და ლიხტენშტეინში ITF-ის ორი ტურნირის მოგებამ ლადო ჩიხლაძე ATP-ს კლასიფიკაციაში ერთბაშად 119 ადგილით წინ წაიწია. გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგში ლადოს 62 ქულით 467-ე ადგილი უჭირავს.

საქართველოს პირველი ჩოგანი ირაკლი ლაბაძე კი, რომელმაც მარჯვენა ხელზე ახლახანს ოპერაცია გაიკეთა, ორი ადგილით დაქვეითდა და 238 სარეიტინგო ქულით 171-ე პოზიციაზე იმყოფება.

ქალთა კლასიფიკაციაში კვლავაც ცხრა ჩვენებურია. მათგან ყველაზე მაღლა მყოფმა მაკა ჩახნაშვილმა ერთი ნაბიჯით წინ წაიწია და 212,5 ქულით 143-ე საფეხურს უწია. შესაბამისად, ორი და ოთხი ადგილი მოიგეს ანა ტატიშვილმა და სოფო მელიქიშვილმა. ანა 86,75 ქულით 267-ეა, ხოლო 58,5 ქულის მქონე სოფოს 338-ე პოზიცია უჭირავს.

სალომე დევაძემ (25,5 ქულა) ორი საფეხურით დაბლა, 533-ეზე დაიხია, სოფო შაფათავამ კი, ვისაც 15,25 ქულა აქვს, შვიდი პოზიცია დაკარგა და 683-ე ადგილზე დაქვეითდა.

ერთი ნაბიჯით წინ, 757-ე საფეხურზე აინაცვლა 12,0 ქულის მქონე ეკა გორგოძემ. აი, მანანა შაფაქიძემ კი ერთბაშად 66 პოზიცია მოიგო და 10,25 ქულით 814-ე ადგილს უწია.

ათასეულს მიღმა კიდევ ორი ქართველია. თეონა ცერცვაძე 5,25 ქულით 1080-ე პოზიციაზე დარჩა, ხოლო 2,75 ქულის მქონე მარიამ ქურდაძემ ოთხი პოზიცია დაკარგა და 1335-ე საფეხურზე ჩაინაცვლა.

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7715 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4755 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 2980 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2865 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2755 |
| 6. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2525 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2395 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2270 |
| 9. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2165 |
| 10. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 2060 |
| 11. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1995 |
| 12. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1905 |
| 13. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1900 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1765 |
| 15. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1715 |
| 16. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1590 |
| 17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1515 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1345 |
| 19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1255 |
| 20. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1230 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 261 |
| 2. ტომი ჰაასი (გერმანია) | 200 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 185 |
| 4. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 180 |
| 5. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 172 |
| 6. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 167 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 163 |
| 8. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 145 |
| 9. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 135 |
| 10. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 121 |
| 11. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 117 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 105 |
| 13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 103 |
| 14. მარდი ფიში (აშშ) | 96 |
| 15. კარლოს მოია (ესპანეთი) | 94 |
| 16. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 91 |
| 17. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 87 |
| 18-19. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 78 |
| 18-19. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 78 |
| 20. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 72 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3645 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3564 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2947 |
| 4. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2933 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2630 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2280 |
| 7. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2135 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1856 |
| 9. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1823 |
| 10. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1683 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1670 |
| 12. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1557 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1552 |
| 14. დინარა საფინა (რუსეთი) | 1528 |
| 15. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1447 |
| 16. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1284 |
| 17. ნა ლი (ჩინეთი) | 1282 |
| 18. სერენა უილიამსი (აშშ) | 1269 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1119 |
| 20. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1032 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1030 |
| 2. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 991 |
| 3. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 960 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 915 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 885 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 866 |
| 7. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 825 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 822 |
| 9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 725 |
| 10. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 700 |
| 11. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 630 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 625 |
| 13. შაჰარ პირი (ისრაელი) | 601 |
| 14. ნა ლი (ჩინეთი) | 556 |
| 15. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 501 |
| 16. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 495 |
| 17. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 435 |
| 18. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 414 |
| 19. დინარა საფინა (რუსეთი) | 411 |
| 20. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 372 |



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

18 მარტი

**ვაშინგტონი 7:1 ტამპა**
*2:0 3:1 2:0*
1:0 ფლეიშმანი (6), 2:0 ფლეიშმანი (14), 3:0 სიომინი (22), 4:0 სიომინი (27), 5:0 სიომინი (29), 5:1 კუბა (38), 6:1 ჟირუ (51), 7:1 გორდონი (58)

**დალასი 5:4 ფინიქსი**
*2:1 0:2 2:1 1:0 (ოვერტაიმი)*
0:1 შოსტრომი (4), 1:1 მოროუ (6), 2:1 ჰაგმანი (16), 2:2 მორისი (24), 2:3 ჩარნკვისტი (26), 3:3 რიბეირო (46), 4:3 ზუბოვი (56), 4:4 დოუნი (59), 5:4 რიბეირო (65)

**ატლანტა 4:3 ბუფალო**
*2:1 0:1 1:1 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 კოვალჩუკი (4), 1:1 სტაფორდი (7), 2:1 ბელანჟე (16), 2:2 ვანეკი (37), 3:2 ჟიტნიკი (48), 3:3 როი (53), 4:3 ტკაჩუკი (65)

**პიტსბურგი 4:3 ოტავა**
*1:1 2:1 0:1 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 [illegible] (11), 1:1 [illegible] (12), 2:1 კროსბი (25), 2:2 ალფრედსონი (26), 3:2 უიტნი (38), 3:3 რედენი (56)

**კოლორადო 4:3 სან ხოსე**
*1:1 1:2 1:0 1:0 (ოვერტაიმი)*
0:1 ტორნტონი (9), 1:1 არნასონი (12), 1:2 მიხალეკი (21), 1:3 გერინი (25), 2:3 ლაილზი (29), 3:3 ბრიუნე (54), 4:3 ჰეიდუკი (61)

**ანაჰაიმი 3:5 ლოს ანჯელესი**
*2:2 1:2 0:1*
0:1 კამალიერი (3), 1:1 მოენი (3), 2:1 პენერი (5), 2:2 კამალიერი (8), 3:2 სელიანე (22), 3:3 ბლეიკი (38), 3:4 ოსალივანი (40), 3:5 კლარკი (41)



AFP დენვერიდან

კოლორადოელთა სიხარული გასაგებია: „სან ხოსესთან" ოვერტაიმში მოგებით „ზვავებმა" საპლეიოფო შანსი შეინარჩუნეს

## ლიგის ლიდერები

ბომბარდირები: სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 108 (32+76); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 96 (20+76); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 96 (48+48); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 93 (39+54); მარიან ჰოსა (ატლანტა) 93 (41+52); დენი ჰიტლი (ოტავა) 92 (42+50); მარკ სავარი (ბოსტონი) 91 (21+70); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 86 (44+42); ჯო საკიკი (კოლორადო) 86 (30+56); დანიელ ბრიარი (ბუფალო) 86 (29+57); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 84 (41+43); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 84 (24+60); ჯერომ იგინლა (კალგარი) 82 (34+48).

გოლეადორები: ლეკავალიე 48; სელიანე 44; ჰიტლი 42; ჰოსა, ოვეჩკინი 41-41; სენ ლუი 39; ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 38; სიმონ განიე (ფილადელფია), ალექსანდრ სიომინი (ვაშინგტონი) 37-37.

ასისტენტები: კროსბი, ტორნტონი 76-76; სავარი 70; იაგრი 60; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 58; ბრიარი 57; საკიკი 56; პაველ დაციუკი (დეტროიტი) 55.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 36; ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 35; ტომ პრეისინგი (ოტავა) 34; დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 33; დაციუკი 28; დევიდ ლეგვანდი (ნეშვილი) 27; დერეკ როი (ბუფალო), ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი), კრის პრონგერი (ანაჰაიმი), ჰიტლი, ანტონ ვოლჩენკოვი (ოტავა) 26-26).

## მეკარეები

გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი: დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,14; ნიკლას ბეკსტრომი (მინესოტა) 2,16; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,20; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,26; მარტი ტურკო (დალასი) 2,27; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,30.

დარტყმათა მოგერიების პროცენტი: კრის მეისონი (ნეშვილი) 92,6; ბეკსტრომი 92,4; ბროდო 92,2; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 92,0; რეი ემერი (ოტავა) 91,9; კრისტობალ იუე (მონრეალი) 91,8; რიკ დიპიეტრო (აილენდერსი) 91,8; ტომაშ ვოკუნი (ნეშვილი) 91,8.

მოგებული მატჩები: ბროდო 42; ლუონგო 41; მარკ-ანდრე ფლერი (პიტსბურგი), ჰაშეკი 35-35; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 34; ჟიგერი, რაიან მილერი (ბუფალო), ტურკო 33-33.

შათაუტები: ბროდო 12; ნაბოკოვი 7; კიპრუსოფი, ჰაშეკი 6-6; მენი ლეგასი (სენტ ლუისი), ტურკო, მეისონი, ემერი, დიპიეტრო 5-5.

| აღმოსავლეთ კონფერენცია | მ | შ | ქ |
|---|---|---|---|
| ბუფალო | 72 | 271:214 | 99 |
| ნიუ ჯერსი | 72 | 191:179 | 94 |
| ატლანტა | 74 | 227:225 | 88 |
| პიტსბურგი | 72 | 250:223 | 92 |
| ოტავა | 73 | 252:201 | 92 |
| ტამპა | 73 | 226:229 | 82 |
| კაროლინა | 73 | 215:217 | 80 |
| რეინჯერსი | 72 | 208:195 | 79 |
| აილენდერსი | 71 | 214:208 | 78 |
| ტორონტო | 72 | 222:235 | 78 |
| მონრეალი | 73 | 214:231 | 78 |
| ბოსტონი | 71 | 202:251 | 73 |
| ფლორიდა | 72 | 213:230 | 73 |
| ვაშინგტონი | 73 | 218:257 | 65 |
| ფილადელფია | 72 | 190:267 | 51 |

| დასავლეთ კონფერენცია | მ | შ | ქ |
|---|---|---|---|
| ნეშვილი | 73 | 249:192 | 100 |
| ანაჰაიმი | 73 | 236:190 | 98 |
| ვანკუვერი | 72 | 195:179 | 92 |
| დეტროიტი | 72 | 228:181 | 99 |
| სან ხოსე | 73 | 222:177 | 92 |
| დალასი | 72 | 194:175 | 91 |
| მინესოტა | 73 | 209:179 | 91 |
| კალგარი | 72 | 231:200 | 84 |
| კოლორადო | 72 | 238:224 | 80 |
| სენტ ლუისი | 71 | 188:217 | 72 |
| ედმონტონი | 72 | 180:215 | 67 |
| ლოს ანჯელესი | 73 | 210:252 | 64 |
| ჩიკაგო | 71 | 179:225 | 63 |
| კოლუმბუსი | 72 | 177:224 | 63 |
| ფინიქსი | 72 | 194:251 | 60 |

კონფერენციებში პირველი სამი ადგილი დივიზიონების ლიდერებს უკავიათ; დახრილი შრიფტით გამოყოფილია პლეი ოფში გასული გუნდი; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთეს მაჩვენებელს

## მსოფლიოს თასი. ფინალური (IX) ეტაპი ხანტი-მანსიისკი. რუსეთი

# ციმბირი გერმანიის მხარეა

## ობზე ბროლს ობი არ ეკიდება


მიხაელ გრაისი



ანდრეა ჰენკელი

AFP ხანტი-მანსიისკიდან

**გერმანელ** მსროლელ მოთხილამურეთა სრული ტრიუმფით დასრულდა ბიატლონისტთა 2006-07 წლების სეზონი. მსოფლიოს თასის გამარჯვებულთა სარგო დიდი ბროლის გლობუსები პირველად ირგუნეს მიხაელ გრაისმა და ანდრეა ჰენკელმა და მათზე ვერავინ იტყვის აუგს.

გრაისისთვის საჩოთირო მხოლოდ ის გახლავთ, რომ დიადმა ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა ამ სეზონში, ერთბაშად სამი ეტაპი გამოტოვა და დასკვნით, რუსულ ხანტი-მანსიისკში გამართულ ეტაპზე კი აღარ ჩავიდა ფრანგი რაფაელ პუარე, ვისაც თასის მოგების რეალური შანსი ჰქონდა.

პუარესაც და ბიორნდალენსაც, ისევე როგორც გერმანელთა ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელს, 80-იანი წლების ვარსკვლავ ფრანკ ულრიხს მსოფლიოს თასი ოთხოთხჯერ აქვთ მოგებული. პუარემ, ვინც სეზონის მეორე ნახევარი დიდებულად ჩაატარა, თავად თქვა უარი მეხუთე ბროლზე, აღმოსავლეთ ციმბირში, ობის სანაპიროზე მდებარე ხანტი-მანსიისკში ჩასვლა იუარა და კარიერა დაასრულა.

ბიორნდალენი კარიერის დამთავრებას ჯერ არ აპირებს და თავის მეხუთე თასს, ალბათ, მაინც მოიგებს, თუმცა, ახლა მიხაელ გრაისია ტრიუმფატორი და მისი ბრალი ნამდვილად არ გახლავთ, რომ მიზეზთა გამო, ფრანგმა და ნორვეგიელმა აწ, უკვე დასრულებულ სეზონში სადღაც თხილამურობა და შაშხანის თრევა არ ინდომეს.

გრაისმა პირველობა დასკვნითი რბოლის წინ გაინაღდა და ქალთა შორის კი ბოლო გასროლამდე არავინ იცოდა, თუ ვინ დაეუფლებოდა დიდ ბროლს. კანდიდატები სამნი იყვნენ — თასის შარშანდელი მფლობელი, გერმანელი კატი ვილჰელმი, მისი თანამემამულე ანდრეა ჰენკელი და შვედი ანა კარინ ოლოფსონი.

ბოლო, მასობრივი სტარტით 12,5 კილომეტრიან რბოლაში საცოდაობა დატრიალდა — ჰენკელმა პირველივე სასროლეთზე ხუთივე სამიზნე გააფუჭა და, თითქოსდა, ყოველგვარი შანსი დაკარგა. ვილჰელმმა პირველ ორ სასროლეთზე ორორი ტყვია ააცილა და ოლოფსონს კარიერაში პირველი თასისკენ გზა გაეხსნა, მაგრამ... მაგრამ ის იყო, რომ თავად შვედმა პირველ სასროლეთზე ზუსტი სროლის მერე, დანარჩენ სამზე, ერთბაშად შვიდი ტყვია ააცილა, ხოლო ჰენკელმა საწყისი კოშმარის შემდეგ სამიზნე გაისწორა, ოდენ ერთი შეცდომაღა დაუშვა და, მართალია, ამ რბოლაში მხოლოდ მე-15 იყო, ოლოფსონს ხუთი ადგილით, შესაბამისად 10 ქულით აჯობა და ეს 10 ქულა სრულიად საკმარისი გამოდგა საბოლოო წარმატებისთვის.

### კაცები

| 12,5 კმ გამოდევნებით (4 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | 36 წთ 54,43 წმ (2 აცდენა) |
| 2. ბიორნ ფერი (შვედეთი) | +0,6 წმ (2) |
| 3. სტიამ ეკჰოფი (ნორვეგია) | +2,1 (2) |
| 4. კრისტოფ ზუმანი (ავსტრია) | +9,8 (1) |
| 5. კარლ იოჰან ბერგმანი (შვედეთი) | +11,4 (2) |

| 15 კმ მასსტარტი (4 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 42 წთ 29,75 წმ (2 აცდენა) |
| 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) | +12,7 წმ (4) |
| 3. სვენ ფიშერი (გერმანია) | +14,0 (3) |
| 4. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | +14,6 (4) |
| 5. ვენსან დეფრასი (საფრანგეთი) | +24,2 (4) |

| საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 794 ქულა |
| 2. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 736 |
| 3. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 709 |
| 4. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 673 |
| 5. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 619 |

### ქალები

| 10 კმ გამოდევნებით (4 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 34 წთ 18,72 წმ (4 აცდენა) |
| 2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | +25,3 წმ (2) |
| 3. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | +25,5 (2) |
| 4. ტადეია ბრანკოვიჩი (სლოვენია) | +1.03,8 (1) |
| 5. ფლორენს ბევერელ-რობერი (საფრანგეთი) | +1.05,8 (1) |

| 12,5 კმ მასსტარტი (4 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. ჰელენა იონსონი (შვედეთი) | 39 წთ 26, 11 წმ (1 აცდენა) |
| 2. ოქსანა ხვოსტენკო (უკრაინა) | +3,2 წმ (1) |
| 3. კატრინ ჰიტცერი (გერმანია) | +16,4 (3) |
| 4. ანა ბულიგინა (რუსეთი) | +23,1 (1) |
| 5. სანდრინ ბეილი (საფრანგეთი) | +40,5 (2) |

| საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 870 ქულა |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 863 |
| 3. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 860 |
| 4. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 720 |
| 5. ფლორენს ბევერელ-რობერი (საფრანგეთი) | 671 |

### კაცები — მსოფლიოს თასის ყველა მფლობელი — ქალები

| კაცები | | | | ქალები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1978 | ფრანკ ულრიხი (გერმანია) | 1993 | მიქაელ ლოვგრენი (შვედეთი) | 1983 | გრი ოსტვიკი (ნორვეგია) | 1995 | ანე ბრიანი (საფრანგეთი) |
| 1979 | კლაუს ზიბერტი (გერმანია) | 1994 | პატრიკ ბეილი-სალინსი (საფრანგეთი) | 1984 | მეტე მესტადი (ნროვეგია) | 1996 | ემანუელ კლარეტი (საფრანგეთი) |
| 1980 | ფრანკ ულრიხი (გერმანია) | 1995 | იონ აგე ტილდუმი (ნორვეგია) | 1985 | სანა გრიონლიდი (ნორვეგია) | 1997 | მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) |
| 1981 | ფრანკ ულრიხი (გერმანია) | 1996 | ვლადიმირ დრაჩევი (რუსეთი) | 1986 | ევა კორპელა (შვედეთი) | 1998 | მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) |
| 1982 | ფრანკ ულრიხი (გერმანია) | 1997 | სვენ ფიშერი (გერმანია) | 1987 | ევა კორპელა (შვედეთი) | 1999 | მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) |
| 1983 | პეტერ ანგერერი (გერმანია) | 1998 | ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 1988 | ანე ელვებაკი (ნორვეგია) | 2000 | მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) |
| 1984 | ფრანკ პეტერ რიოში (გერმანია) | 1999 | სვენ ფიშერი (გერმანია) | 1989 | ელენა გოლოვინა (რუსეთი) | 2001 | მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) |
| 1985 | ფრანკ პეტერ რიოში (გერმანია) | 2000 | რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 1990 | ირინა ადამიჩკოვა (ჩეხეთი) | 2002 | მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) |
| 1986 | ანდრე ზემიში (გერმანია) | 2001 | რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 1991 | სვეტლანა დავიდოვა (რუსეთი) | 2003 | მარტინა გლაგოვი (გერმანია) |
| 1987 | ფრანკ პეტერ რიოში (გერმანია) | 2002 | რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 1992 | ანფისა რეზცოვა (რუსეთი) | 2004 | ლივ გრეტ პუარე (ნორვეგია) |
| 1988 | ფრიც ფიშერი (გერმანია) | 2003 | ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 1993 | ანფისა რეზცოვა (რუსეთი) | 2005 | სანდრინ ბეილი (საფრანგეთი) |
| 1989 | ერიკ კვალფოსი (ნორვეგია) | 2004 | რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 1994 | სვეტლანა პარამიგინა (ბელარუსი) | 2006 | კატი ვილჰელმი (გერმანია) |
| 1990 | სერგეი ჩეპიკოვი (რუსეთი) | 2005 | ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | | | 2007 | ანდრეა ჰენკელი (გერმანია) |
| 1991 | სერგეი ჩეპიკოვი (რუსეთი) | 2006 | ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | | | | |
| 1992 | იონ აგე ტილდუმი (ნორვეგია) | 2007 | მიხაელ გრაისი (გერმანია) | | | | |



# მანი, მანი, მანი, მანი: მანინენმა ოთხი თასი შეაგროვა




**ფინელი** ჰანუ მანინენი პირველი სპორტსმენი გახდა, ვინც ჩრდილოეთის კომბინაციად წოდებულ სათხილამურო ორჭიდის მსოფლიოს თასი მეოთხედ მოიპოვა და თანაც, ეს მიყოლებით გააკეთა — 2004 წლიდან დაწყებული, ჰანუს ბადალი არ ჰყავს და, თუ აქამდე ხინჯად ის ჰქონდა, რომ თასის ეტაპებზე ყველაფრის წამლეკავი ოლიმპიადებსა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ინდივიდუალურ სახეობებში ვერაფერს იგებდა, წლეულს ეს ნაკლიც გამოასწორა და საპოროს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვეულ გუნდურ ოქროს სპრინტში პირველი ადგილიც ზედ დააყოლა.

ჰოლმენკოლენში, ორჭიდელთა წლევანდელი მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპზე, ჰანუმ ვერ ივარგა. ერთი ეგაა, რომ როგორც მთელი სეზონი, უამინდობის გამო ეს ეტაპიც შეკვეცილი გამოვიდა — გამოდევნებით რბოლა ვერ ჩატარდა და მოთხილამურეები მხოლოდ სპრინტად წოდებულ სახეობაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

მანინენი სადღაც 29-ე ადგილზე გავიდა, თუმცაღა, ამას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ფინელმა დიდოსტატმა ალალად ირგუნა ზედიზედ მეოთხე ბროლის გლობუსი და სამი თასის მფლობელ ლეგენდარულ იაპონელ კენჯი ოგივარას გადაასწრო.

| სპრინტი (1 ნახტომი HS128 ტრამპლინიდან+7,5 კმ) | |
|---|---|
| 1. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | 21 წთ 48,2 წმ |
| | (მე-2 ადგილზე ტრამპლინზე ჩამორჩენა 1 წმ) |
| 2. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) | 22.00,8 (19+1წთ 29 წმ) |
| 3. ბილ დემონგი (აშშ) | 22.12,5 (7,+59 წმ) |
| 4. მარიო შტეხერი (ავსტრია) | 22.20,6 (13,+1 წთ 32 წმ) |
| 5. ტომაშ სლავიკი (ჩეხეთი) | 22.25,8 (3,+28 წმ) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | 765 ქულა |
| 2. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | 696 |
| 3. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | 684 |
| 4. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 679 |
| 5. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) | 652 |

### მსოფლიოს თასის ყველა მფლობელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1984 | ტომ სანდბერგი (ნორვეგია) | 1996 | კნუტ ტორე აპელანდი (ნორვეგია) |
| 1985 | გეირ ანდერსენი (ნორვეგია) | 1997 | სამპა ლაიუნენი (ფინეთი) |
| 1986 | ჰერმან ვაინბუხი (გერმანია) | 1998 | ბიარტე ენგენ ვიკი (ნორვეგია) |
| 1987 | ტორბიორნ ლოკენი (ნორვეგია) | 1999 | ბიარტე ენგენ ვიკი (ნორვეგია) |
| 1988 | კლაუს ზულცენბახერი (ავსტრია) | 2000 | სამპა ლაიუნენი (ფინეთი) |
| 1989 | ტრონდ არნე ბრედესენი (ნორვეგია) | 2001 | ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) |
| 1990 | კლაუს ზულცენბახერი (ავსტრია) | 2002 | რონი აკერმანი (გერმანია) |
| 1991 | ფრედ ბიორნ ლუნდბერგი (ნორვეგია) | 2003 | რონი აკერმანი (გერმანია) |
| 1992 | ფაბრის გიი (საფრანგეთი) | 2004 | ჰანუ მანინენი (ფინეთი) |
| 1993 | კენჯი ოგივარა (იაპონია) | 2005 | ჰანუ მანინენი (ფინეთი) |
| 1994 | კენჯი ოგივარა (იაპონია) | 2006 | ჰანუ მანინენი (ფინეთი) |
| 1995 | კენჯი ოგივარა (იაპონია) | 2007 | ჰანუ მანინენი (ფინეთი) |

# მსოფლიოს თასი. ფინალური ეტაპი
## ლენცერჰაიდე. შვეიცარია. 14-18 მარტი



აქსელ ლუნდ სვინდალი და ნიკოლ ჰოსპი

AFP

# ჯერ ჰოსპ და მერე სვინდალი
## მთის ბროლი: გლობუსი უკუღმა დატრიალდა

**სუპერდრამატული** და განუმეორებელი გამოდგა მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპი, რომელიც გასულ კვირაში შვეიცარიის ალპებში, ლენცერჰაიდეში ჩასრიალდა.

დასკვნითი ეტაპის მოვლენები, როგორც ქალთა, ისეთ კაცთა შორის, ისეთი სიუჟეტით განვითარდა, ყველაზე ცნობილი დრამატურგები, თუ დეტექტივების ავტორები მოაწერდნენ ხელს.

თავად განსაჯეთ.

ქალთა შორის პირველობაზე ერთბაშად ოთხნი აცხადებდნენ პრეტენზიას: ავსტრიელები — მარლიზ შილდი, ნიკოლ ჰოსპი, რენატე გიოტჩლი და ამერიკელი ჯულია მანკუზო. გიოტჩლს არ გაუმართლა — პირველივე სახეობაში, სწრაფდაშვებაში დაშავდა და საჩემპიონო ბრძოლას გამოეთიშა. მანკუზომ ვერ ივარგა, სწორედ ფინალური ეტაპი ჩაფლავა და საჩემპიონო კვარტეტი დუეტად გარდაიქმნა — შილდი და ჰოსპი.

შილდმა, მისთვის უხერხულ, ჩქაროსნულ სახეობებში — სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში მშვენივრად ისრიალა და თითქოს გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ იქ დაუცდა ფეხი, სადაც არავინ ელოდა — სლალომში წლეულს შვიდი ეტაპის მომგებმა მარლიზმა თავისი საყვარელი სახეობა ჩააგდო. პირველი დაშვების შემდეგ მეორე იყო და მცირედს აგებდა ჰოსპთან, მაგრამ, როგორც ჩანს, უკიდურესად დაძაბულ ატმოსფეროს ვერ გაუძლო, მეორე ცდა ვერ ჩაამთავრა და თანამემამულე დასკვნითი, გიგანტური სლალომის ეტაპის წინ მთელი 70 ქულით გაუშვა წინ.

დანარჩენი, უკვე ტექნიკის საქმე იყო — ჰოსპმა ბოლო სახეობაშიც ივარგა, სლალომის შემდეგ გიგანტიც მოიგო და დიდი ბროლის გლობუსიც ალალად აღმართა.

კიდევ უფრო დრამატულად განვითარდა მოვლენები კაცთა შორის, სადაც პირველობისთვის თასის შარშანდელი მფლობელი, ავსტრიელი ბენჯამინ რაიხი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ნორვეგიელი აქსელ ლუნდ სვინდალი ცილობდნენ.

ლენცერჰაიდეს ოთხი დასკვნითი რბოლის წინ რაიხი ლიდერობდა და მიუხედავად იმისა, რომ სვინდალმა ორივე ჩქაროსნული სახეობა მოიგო, ავსტრიელი სამი ქულით მაინც წინ დარჩა. ეს, თითქოს, გადამწყვეტი უპირატესობა იყო — ტექნიკურ სახეობებში, გიგანტურ სლალომსა და სლალომში ხომ რაიხს ბევრი ვერ დაეტოლება, მაგრამ ამჯერად კამათელი დუშმანზე სვინდალს დაუჯდა. გიგანტში რაიხი უქულოდ დარჩა, ნორვეგიელმა კი ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა და საერთო ჩათვლაში 97 ქულით დაწინაურდა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ რაიხს სლალომი რომც მოეგო, თუ სვინდალი მე-15 ადგილზე გავიდოდა, თასიც მისი იქნებოდა.

რაიხმა თავისი მოსაგები სლალომი მოიგო, მაგრამ ამ დროისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ სვინდალი სწორედაც რომ მე-15 იქნებოდა. არც მეტი, არც ნაკლები — ზუსტად მეთხუთმეტე და შედეგად, აქსელ ლუნდ სვინდალი ჩეტილ ანდრე ომოდტისა და ლასე კიუსის შემდეგ მესამე ნორვეგიელია, რომელმაც მსოფლიოს თასის მომგების სარგო დიდი ბროლის გლობუსი ზეაღმართა.

**გია მუჯირი**

## კაცები

| გიგანტური სლალომი | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 2 წთ 07,82 წმ (1.03,47+1.04,35) |
| 2. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) | 2.08,03 (1.03,46+1.04,57) |
| 3. ბოდე მილერი (აშშ) | 2.08,49 (1.04,70+1.03,79) |
| 4. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 2.08,63 (1.04,14+1.04,49) |
| 5. მარკ ბერთოდი (შვეიცარია) | 2.08,69 (1.05,00+1,03,69) |

| გიგანტური სლალომის საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 416 ქულა |
| 2. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) | 380 |
| 3. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 319 |
| 4. კალე პალანდერი (ფინეთი) | 299 |
| 5. ფრანსუა ბურკე (კანადა) | 249 |

| სლალომი | |
|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1 წთ 39,78 წმ (48,19+51,59) |
| 2. მარიო მატი (ავსტრია) | 1.40,75 (48,76+51,99) |
| 3. მანფრედ მოელგი (იტალია) | 1.41,52 (49,53+51,99) |
| 4. მარკ ბერთოდი (შვეიცარია) | 1.41,70 (49,44+52,26) |
| 5. იენს ბიგმარკი (შვედეთი) | 1.41,75 (49,16+52,59) |

| სლალომის საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 605 ქულა |
| 2. მარიო მატი (ავსტრია) | 600 |
| 3. იენს ბიგმარკი (შვედეთი) | 490 |
| 4. მარკუს ლარსონი (შვედეთი) | 340 |
| 5. მანფრედ მოელგი (იტალია) | 334 |

| საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 1268 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1255 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1098 |
| 4. ბოდე მილერი (აშშ) | 882 |
| 5. მარიო მატი (ავსტრია) | 744 |

## ქალები

| სლალომი | |
|---|---|
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1 წთ 45,67 წმ (53,49+52,18) |
| 2. ანია პერსონი (შვედეთი) | 1.45,95 (53,72+52,23) |
| 3. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) | 1.47,02 (54,09+52,93) |
| 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1.47,04 (54,24+52,80) |
| 5. ანა ოტოსონი (შვედეთი) | 1.47,25 (54,75+52,50) |

| სლალომის საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 760 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 418 |
| 3. სარკა ზაჰროვსკა (ჩეხეთი) | 405 |
| 4. ტერეზა ბორსენი (შვედეთი) | 389 |
| 5. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) | 344 |

| გიგანტური სლალომი | |
|---|---|
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 2 წთ 11,98 წმ (1.03,10+1.08,88) |
| 2. კატრინ ჰოელცლი (გერმანია) | 2.13,40 (1.03,99+1.09,41) |
| 3. მიხაელა კირხგასერი (ავსტრია) | 2.13,51 (1.04,25+1.09,26) |
| 4. მანუელა მოელგი (იტალია) | 2.14,12 (1.03,96+1.10,16) |
| 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 2.14,37 (1.03,72+1.10,65) |

| გიგანტური სლალომის საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 490 ქულა |
| 2. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 419 |
| 3. მიხაელა კირხგასერი (ავსტრია) | 357 |
| 4. ჯულია მანკუზო (აშშ) | 275 |
| 5. კატრინ ჰოელცლი (გერმანია) | 228 |

| საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1.ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1572 ქულა |
| 2. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1482 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1356 |
| 4. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1300 |
| 5. ანია პერსონი (შვედეთი) | 885 |

## მსოფლიოს თასის ყველა მფლობელი

### კაცები

| | |
|---|---|
| 1967 | ჟან კლოდ კილი (საფრანგეთი) |
| 1968 | ჟან კლოდ კილი (საფრანგეთი) |
| 1969 | კარლ შრანცი (ავსტრია) |
| 1970 | კარლ შრანცი (ავსტრია) |
| 1971 | გუსტავო ტონი (იტალია) |
| 1972 | გუსტავო ტონი (იტალია) |
| 1973 | გუსტავო ტონი (იტალია) |
| 1974 | პიერო გროსი (იტალია) |
| 1975 | გუსტავო ტონი (იტალია) |
| 1976 | ინგემარ სტენმარკი (შვედეთი) |
| 1977 | ინგემარ სტენმარკი (შვედეთი) |
| 1978 | ინგემარ სტენმარკი (შვედეთი) |
| 1979 | პეტერ ლუშერი (შვეიცარია) |
| 1980 | ანდრეას ვენეცელი (ლიხტენშტაინი) |
| 1981 | ფილ მარე (აშშ) |
| 1982 | ფილ მარე (აშშ) |
| 1983 | ფილ მარე (აშშ) |
| 1984 | პირმინ ცურბრიგენი (შვეიცარია) |
| 1985 | მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) |
| 1986 | მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) |
| 1987 | პირმინ ცურბრიგენი (შვეიცარია) |
| 1988 | პირმინ ცურბრიგენი (შვეიცარია) |
| 1989 | მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) |
| 1990 | პირმინ ცურბრიგენი (შვეიცარია) |
| 1991 | მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) |
| 1992 | პაულ აკოლა (შვეიცარია) |
| 1993 | მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) |
| 1994 | ჩეტილ ანდრე ომოდტი (ნორვეგია) |
| 1995 | ალბერტო ტომბა (იტალია) |
| 1996 | ლასე კიუსი (ნორვეგია) |
| 1997 | ლუკ ალფანი (საფრანგეთი) |
| 1998 | ჰერმან მაიერი (ავსტრია) |
| 1999 | ლასე კიუსი (ნორვეგია) |
| 2000 | ჰერმან მაიერი (ავსტრია) |
| 2001 | ჰერმან მაიერი (ავსტრია) |
| 2002 | შტეფან ებერხარტერი (ავსტრია) |
| 2003 | შტეფან ებერხარტერი (ავსტრია) |
| 2004 | ჰერმან მაიერი (ავსტრია) |
| 2005 | ბოდე მილერი (აშშ) |
| 2006 | ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) |
| 2007 | აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) |

### ქალები

| | |
|---|---|
| 1967 | ნენსი გრინი (კანადა) |
| 1968 | ნენსი გრინი (კანადა) |
| 1969 | გერტრუდ გაბლი (ავსტრია) |
| 1970 | მიშელ ჟაკი (საფრანგეთი) |
| 1971 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) |
| 1972 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) |
| 1973 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) |
| 1974 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) |
| 1975 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) |
| 1976 | როზი მიტერმაიერი (გერმანია) |
| 1977 | ლიზ-მარი მორერო (შვეიცარია) |
| 1978 | ჰანი ვენცელი (ლიხტენშტაინი) |
| 1979 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) |
| 1980 | ჰანი ვენცელი (ლიხტენშტაინი) |
| 1981 | მარი-ტერეზ ნადიგი (შვეიცარია) |
| 1982 | ერიკა ჰესი (შვეიცარია) |
| 1983 | ტამარა მაკინი (აშშ) |
| 1984 | ერიკა ჰესი (შვეიცარია) |
| 1985 | მიქაელა ფიჯინი (შვეიცარია) |
| 1986 | მარია ვალიზერი (შვეიცარია) |
| 1987 | მარია ვალიზერი (შვეიცარია) |
| 1988 | მიქაელა ფიჯინი (შვეიცარია) |
| 1989 | ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) |
| 1990 | პეტრა კრონბერგერი (ავსტრია) |
| 1991 | პეტრა კრონბერგერი (ავსტრია) |
| 1992 | პეტრა კრონბერგერი (ავსტრია) |
| 1993 | ანიტა ვახტერი (ავსტრია) |
| 1994 | ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) |
| 1995 | ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) |
| 1996 | კატია ზაიცინგერი (გერმანია) |
| 1997 | პერნილა ვიბერგი (შვედეთი) |
| 1998 | კატია ზაიცინგერი (გერმანია) |
| 1999 | ალექსანდრა მაისნიტცერი (ავსტრია) |
| 2000 | რენატე გიოტჩლი (ავსტრია) |
| 2001 | იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) |
| 2002 | მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) |
| 2003 | იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) |
| 2004 | ანია პერსონი (შვედეთი) |
| 2005 | ანია პერსონი (შვედეთი) |
| 2006 | იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) |
| 2007 | ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) |

კრიკეტი

# ვულმერის გული
## სიკვდილი კრიკეტის ველზე



**კარიბეთში** მიმდინარე კრიკეტის მსოფლიო ჩემპიონატის წყნარი და საქმიანი მიმდინარეობა კვირას სენსაციურმა ინფორმაციამ ააფეთქა — პაკისტანის ნაკრების მწვრთნელი ბობ ვულმერი სასტუმროს ნომერში გარდაცვლილი იპოვეს.

ეს ამბავი პაკისტანელთა ჩემპიონატიდან გამოვარდნის შემდეგ რამდენიმე საათში მოხდა. კარიბეთში ფავორიტის სტატუსით ჩასულმა აზიელებმა ორიდან ორი თამაში წააგეს — ჯერ მასპინძელ ვესტ ინდოეთთან, შემდეგ კი დებიუტანტ ირლანდიასთან და ჯგუფიდან გასვლის შანსიც დაკარგეს.

ვულმერის გარდაცვალების შემდეგ მალევე გაჩნდა ვარაუდები იმის შესახებ, რომ შეიძლება, საერთოდაც მოეკლათ. ალბათ გახსოვთ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, როცა კოლუმბიის გამოვარდნა ნაკრების მცველ პედრო ესკობარს და მის ავტოგოლს დაბრალდა, რის შემდეგაც ფეხბურთელი ბოგოტის ერთ-ერთ ბარში ჩაცხრილეს. ახლაც სწორედ ანალოგიური ვერსიები გაჩნდა, რასაც ის ფაქტი ამყარებდა, რომ ვულმერი ინდოეთში ყოფილა დაბადებული. ინდოეთ-პაკისტანის „ტკბილი" ურთიერთდამოკიდებულების შესახებ კი კარგადაა ცნობილია. თუმც პაკისტანის კრიკეტის ფედერაციის პრეზიდენტი ნასიმ აშრაფი და თვით ვულმერის ოჯახის წევრები შურისძიების ვერსიას გამორიცხავენ და ექიმების დიაგნოზზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ მწვრთნელის გარდაცვალების მიზეზი ძლიერი სტრესი, ანაც გულის შეტევა უნდა ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, ჩემპიონატმა უკვე შეიძინა სკანდალური ელფერი და მატჩების შედეგებმა უკანა პლანზე გადაიწია.

ამ ავბედით D ჯგუფში, როგორც მოგახსენეთ, პაკისტანმა უკვე დაკარგა გასვლის შანსი, რასაც ვერ ვიტყვით ჩემპიონატის უკვე მთავარ სენსაციად ქცეულ ირლანდიაზე, რომელმაც პირველ შეხვედრაში ზიმბაბვესთან ფრე გახერხა და აგერ ახლა აზიელები დასცა, რითაც ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი შეიძინა.

A ჯგუფში კი ორი ფავორიტი გამოიკვეთა — მოქმედ ჩემპიონ ავსტრალიასთან ერთად კარგად გამოიყურებიან სამხრეთაფრიკელები. ცუდ დღეში ჩავარდა ჰოლანდია, რომელიც ორ დღეში ერთიმეორეზე სასტიკად გაანადგურეს ჯერ სამხრეთაფრიკელებმა, შემდეგ კი ოზებმა.

B ჯგუფში შაბათს ხმაურიანი სენსაცია ვიხილეთ, როცა ბანგლადეშმა ზედ მატჩის მიწურულს წააქცია კიდევ ერთი აზიელი ფავორიტი ინდოეთი.

მოულოდნელობები არ აკლდა C ჯგუფსაც. კრიკეტის გამომგონებლებმა, რომლებიც ჩვეულად დიდი ამბიციით ჩავიდნენ კარიბეთში, ახლაც უკბილოდ დაიწყეს. ინგლისელებს ახალმა ზელანდიამ მოუგო. თუმც ინგლისმა საქმე კვირას ოდნავ გამოისწორა, როცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოუგო კანადას.

**ბაჩა ლომჯაშვილი**

კრივი

# ზეზრის ოცნება: ქამარი



**კრივიდან** არაერთხელ წასული და მობრუნებული, მაიკ ტაისონისგან ყურმოკვნეტილი ევანდერ ჰოლიფილდი ჯიუტად მიიწევს მორიგი ტიტულისკენ. 45 წლის ვეტერანმა წელიწადნახევრის წინ თქვა, ჩემპიონობის დაბრუნება კიდევ შემიძლიაო და მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ბევრმა დასცინა, თავისი მიზნისკენ მაინც მიიწევს.

ჰოლიფილდმა კვირას გამთენიისას თანამემამულე ვინი მადალონე უადვილესად დასცა და დაამტკიცა, რომ კიდევ შეუძლია მუშტების ქნევა. ვეტერანმა ადვილად იმარჯვა და მეტოქე პირწმინდად დაჩაგრა, ერთხელ კი კინაღამ ნოკდაუნშიც გაუშვა. თუმც მადალონეს საქმე თავიდანვე ცუდად წავიდა, რადგანაც პირველ რაუნდში უხეიროდ დაატაკა თავი ჰოლიფილდს და წარბი გაიხეთქა.

მომდევნო ორ რაუნდში ჰოლიფილდი ისე სასტიკად უბრახუნებდა მადალონეს, რომ ამ უკანასკნელის მწვრთნელმაც ვერ გაძლო და მსაჯს ბრძოლა შეაწყვეტინა, მით უმეტეს, რომ მადალონეს გახეთქილი წარბიდან სისხლის დენა ვერაფრით შეუჩერეს.

ჰოლიფილდი იმედოვნებს, რომ მისი შემდეგი მეტოქე რომელიმე ტიტულის მფლობელი იქნება და მას უკვე შეეძლება საჩემპიონო ქამრისთვის ბრძოლა. თუმც მაინც ძნელი სავარაუდოა, ეს ახლავე — წესით, ჰოლიფილდს იქამდე კიდევ ერთი ან ორი ბრძოლის ჩატარება მოუწევს სხვა პრეტენდენტებთან.

**ბაჩა ლომჯაშვილი**

ოლიმპიზმი

# ჩიხარუს ზალცბურგის სჯერა

**ზალცბურგში** მუშაობა დაასრულა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელმა კომისიამ, რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო კანდიდატი ქალაქების შესაძლებლობებს სწავლობდა.

ზალცბურგი სამხრეთ კორეის პიონჩანისა და რუსეთის სოჭის შემდეგ ბოლო, მესამე ქალაქი იყო, რომელიც კომისიამ მოინახულა. მართალია, კომისიის წევრებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიამდე თავიანთ შთაბეჭდილებებზე კომენტარი ეკრძალებათ, მაგრამ ზალცბურგში მათ რამდენიმე სიტყვა მაინც დააცდენინეს. ყოველ შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარემ და სოკ-ის ვიცე პრეზიდენტმა ჩიხარუ იგაიამ ზალცბურგის პერსპექტივები დადებითად შეაფასა.

„ავსტრიაში ზამთრის სახეობები ძალზე განვითარებულია, ხოლო თავად ეს ქვეყანა არაერთხელ მასპინძლობდა დიდ შეჯიბრებებს, მათ შორის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ეჭვიც არ გვეპარება, რომ ზალცბურგს შეუძლია ოლიმპიური თამაშების მიღება და ორგანიზება" — თქვა ჩიხარუ იგაიამ.

ამ სოკელმა დიდმოხელემ ისიც შეგვახსენა, რომ ავსტრია 1924 წელს ჩატარებული პირველი „თეთრი ოლიმპიადიდან" მოყოლებული, დღემდე ყველა თამაშებში მონაწილეობდა და 185 მედალი მოიპოვა. ამას გარდა, ავსტრიის ინსბრუკი ორჯერ — 1968 და 1976 წლებში „თეთრ ოლიმპიადებს" მასპინძლობდა.

ასეა თუ ისე, 2014 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა გვატემალაში 4 ივლისს სოკ-ის სესიაზე გამოცხადდება.

**ავთანდილ ტყვიშელი**

ცურვა

# მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში
## მელბურნი, ავსტრალია, 17 მარტი - 1 აპრილი



ასაა: სანო ნარადამ მკლავი ბრინჯაოსკენ გაიქნია

AFP მელბურნიდან

# აუზში არის ფერები მუქი, ჩქარა, ოზებო, აანთეთ შუქი

**მსოფლიოს** ჩემპიონატი სანამ გახურდება, ანუ სანამ მოცურავეები აადგაფუნებენ მელბურნის აუზს, ადგილობრივი პუბლიკის ყურადღებას წყალში მხტომელები, სინქრონულად და ღია წყალში მოცურავეები იპყრობენ. აგერ შაბათს წყალბურთელებიც აბურთავდნენ.

ხოლო სანამ ცურვის ზვიგენები — მასპინძელი ოზები და ამერიკელები დაიწყებენ მედლების ხვეჭას, პოდიუმის მწვერვალზე სხვები თავმომწონეობენ. უკვე ორი ოქრო მოიპოვა ჩინეთის გუნდმა, რომელსაც წყალში ხტომის ყველა დისციპლინაში დაუგეგმავს ოქრო თუ არა, რაიმე სინჯის მედალი მაინც. მედლების თავისი „საბადო" აქვს რუსეთის ნაკრებსაც — სინქრონულ ცურვაში სხმარტალა რუსმა ქალებმა ასევე ორი ოქრო მოიპოვეს.

ერთი საინტერესო რამ მოხდა წყალში მხტომელთა გამოსვლისას. იტალიელ ვაჟთა დუეტი სინქრონულად გადმოხტომას რომ აპირებდა, დარბაზში შუქი ჩაქრა და შეჯიბრი დროებით შეწყდა.

**წყალში ხტომა**

**ვაჟთა სინქრონული 3-მეტრიანი ტრამპლინი**

1. კაი ქინი, ფენ ვანი (ჩინეთი, 458,76); 2. ალექსანდრ დესპატიე, არტურო მირანდა (კანადა, 418,92); 3. ტობიაშ შელენბერგი, ანდრეას ველსი (გერმანია, 414,54)

**ქალთა სინქრონული 10-მეტრიანი კოშკი**

1. ტონ ძია, როულინ ჩენი (ჩინეთი, 361,32); 2. ბრიონ კოული, მელისა ვუ (ავსტრალია, 324,00); 3. ანეტ გამი, ნორა სუბშინსკი (გერმანია, 306,63)

**სინქრონული ცურვა**

**ტექნიკური სოლო**

1. ნატალია იშჩენკო (რუსეთი, 99,000); 2. ხემა მენგუალ სივილი (ესპანეთი, 98,000); 3. სანო ნარადა (იაპონია, 96,833)

**გუნდური თავისუფალი**

1. რუსეთი (99,000); 2. იაპონია (97,833); 3. აშშ (96,500)

ველორბოლა

# კონტადორის პირველი



**ამერიკული** „დისქავერი ჩენელის" ესპანელი მრბოლის, 24 წლის ალბერტო კონტადორის გამარჯვებით დასრულდა ამ სეზონში „პრო-ტურის" სერიის პირველი რბოლა, რიგით 65-ე „პარიზი-ნიცა".

პარასკევს და შაბათს გამართულმა ეტაპებმა, რომლებიც კანტადორის თანაგუნდელმა, უკრაინელმა იაროსლავ პოპოვიჩმა და „ილეს ბალეარსის" ესპანელმა ლუის ლეონ სანჩესმა მოიგეს, საერთო ჩათვლაში სურათი ვერ შეცვალა — პირველობა გერმანული „გეროლშტაინერის" იტალიელმა დავიდე რებელინიმ შეინარჩუნა და კონტადორი კი მას ექვსი წამით ჩამორჩებოდა.

როგორც ჩანს, ალბერტო ბოლო ეტაპს ელოდა და ნიცის შემოგარენში და უშუალოდ ქალაქის ქუჩებში გამართულ 130-კილომეტრიან რბოლაში ესპანელმა მეტოქეებს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა — რებელინი ფინიშამდე ოციოდე კილომეტრით ადრე, დეზეს მთის აღმართში ჩამოიტოვა, შემდეგ დანარჩენებსაც გაუსწორდა, ფინიშს ეულად უწია, თანაც იმხელა უპირატესობით, საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის სრულიად საკმარისი რომ იყო და კარიერაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა.

რებელინი მხოლოდ მერვე იყო და გენერალურ კლასიფიკაციაში გამარჯვებულს 26 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილზე ზემოთ ნახსენები სანჩესი გავიდა, რომელმაც კონტადორთან 42 წამით წააგო.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია მაზუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიდიძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეინაბ მიხაილაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წეროძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge